# სარბიელი

სპორტული გაზეთი · გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან · სამშაბათი, 14 სექტემბერი · 1993 № 13 (60) · ფასი 145 კუპონი



**3** გუმისთის სანგრებიდან სტადიონზე „სარბიელის" სპეციალური კორესპონდენტის რეპორტაჟი

**5** ეტაპი გრაფი: ოთხიდან — სამი

**7** პროსტის ტრიუმფი გადაიდო

კუიცები გვარზე ხტიან


# გიორგი კანდელაკი ევროპის ჩემპიონი!

## ქართველ მოკრივეთა წარმატება ბურსაში!

## 1 ოქრო, 2 ვერცხლი, 1 ბრინჯაო







მარცხნიდან:
ზურაბ სარსანია (ფოთი. II პრიზიორი. +91 კგ),
რამაზ ფალიანი (მესტია. II პრიზიორი, 57 კგ),
პაატა გვასალია (ფოთი. III პრიზიორი 60 კგ.),
გიორგი კანდელაკი (გორი. ჩემპიონი, 91 კგ.)



# რა ელის თბილისის „დინამოს"?

უეფა-მ არ მიიღო თბილისელთა აპელაცია და „დინამო" მოხსნა ჩემპიონთა თასის მიმდინარე გათამაშებიდან, თანაც ერთწლიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. ამ უპრეცედენტო შემთხვევისა და ამ თემაზე „სარბიელის" პუბლიკაციების გარშემო ჩვენს საზოგადოებრიობაში დიდი მითქმა-მოთქმა ატყდა. უდავოა, ეს ამბავი საყოველთაო ყურადღების ცენტრში რჩება. ეს არცაა გასაკვირი. „დინამო", როგორც კლუბის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ თავის სატელევიზიო გამოსვლაში აღნიშნა, მართლაც მთელ საქართველოს ეკუთვნის!

აქედან გამომდინარე, ბუნებრივია სპორტის მოყვარულთა გაწბილება და გამძაფრებული ინტერესი მომხდართან დაკავშირებით. ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ არ შევწყვიტოთ ამ თემის განხილვა.

დღეს „სარბიელის" მეორე გვერდზე გთავაზობთ ინტერვიუს კლუბის ერთ-ერთ მეპატრონესთან მერაბ რატიანთან.

# ახალი აღიარება

28 აგვისტოდან 4 სექტემბრამდე ბრატისლავაში მოეწყო ფიდე-ს საჭადრაკო კომპოზიციის 36-ე საერთაშორისო კონგრესი. აქვე გაიმართა მსოფლიოს VI ჩემპიონატი საჭადრაკო ნაწარმოებთა ამოხსნაში და საერთაშორისო კონკურსის ეტიუდების ამოხსნაში.

კონგრესის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს საჭადრაკო კომპოზიციის კომისიის თავმჯდომარე, საერთაშორისო დიდოსტატი საჭადრაკო კომპოზიციაში დავით გურგენიძე, რომელიც იქ ფიდე-ს საკომპოზიციო კომისიის წევრად აირჩიეს. აი, რა გვიამბო მან:

— საჭადრაკო კომპოზიციაში საერთაშორისო არბიტრის წოდებები მიენიჭათ ჩვენს კომპოზიტორებს — საერთაშორისო ოსტატ ველიმირ კალანდაძეს და რევაზ თავარიანს. დიდი ინტერესი გამოიწვია 1986-1988 წლების „ფიდე-ს ალბომის" მასალების განხილვამ, სადაც ქართველთა ნამუშევრებიც დაიბეჭდება: გია ნადარეიშვილის, ვაჟა ნეიძის, იოსებ კრიხელის, რევაზ თავარიანის, ველიმირ კალანდაძის, მერაბ გოგბერაშვილის, იური აკობიას და ჩემი ეტიუდები და შარგილ ხუხაშვილის ამოცანა. ამომხსნელთა მსოფლიო პირველობაში 18 ქვეყნის 74 წარმომადგენელი მონაწილეობდა. ამოსახსნელად მოცემული იყო 15 ამოცანა და 3 ეტიუდი. დრო მკაცრად იყო განსაზღვრული. მე პირველად ვმონაწილეობდი ამ ჩემპიონატში, რამდენიმე ქულა დავკარგე და მეექვსე ადგილი დავიკავე, თუმცა საერთაშორისო დიდოსტატის პირველი ზალი შევასრულე. „დაკარგული" ავინაზღაურე ეტიუდისტთა საერთაშორისო კონკურსში, სადაც პირველი პრიზი მოვიპოვე. სპეციალური პრიზი მიიღო თბილისელმა მიხეილ მღებრიშვილმა, რომლის 222-სვლიანი ეტიუდი ყველაზე „გრძელი" აღმოჩნდა.

ნინო იმესაშვილი



გია ახალაძის ფოტოზე „ვესტასა" და „შევარდენის" წინა, სკანდალური თამაშის მომენტია აღბეჭდილი. მაშინ, ანუ შარშან, ნოემბერში, ვაკეში „ვესტამ" იძალა. მას შემდეგ „შევარდენი" კიდევ უფრო წამოიჩიტა და ბოლოსდაბოლოს კიდეც მოუგო თავისს უმთავრესს მეტოქეს.

# საღამოს შვიდ საათზე

აგრარული უნივერსიტეტი. 13 სექტემბერი

| | |
|---|---|
| **შევარდენი** | **12** |
| **ვესტა** | **9** |

შევარდენი: იურინი; დვალი, ფარცვანია, ძნელაძე, ჩიტაძე; მოდებაძე, კვარაცხელია; ჩიქავა, აბაშიძე, თავზარაშვილი; ნ. მგელაძე, ნადირაძე, ქურციკიძე, სორდია; ტყეშელაშვილი. 4ს: მოდებაძე (9, 17, 22, 80)

ვესტა: ა. ხვედელიძე; ბუგიანიშვილი, ვაშაძე, მარჯანიშვილი, ქავთარაშვილი; იოვაძე, ნატროშვილი; გაგნიძე, პინაიშვილი, დაუშვილი; ობოლაძე, ხუადე, ლიბრაძე (კობახიძე, 66), ნეველიძე; გ. გიუნაშვილი. 3ს: ნატროშვილი (11, 14, 35)

მსაჯები: ნარიმანაშვილი (აკადემია); ლიპარტელიანი(ამირანი), ალემაშვილი(ლავრი)

ნაშვიდკაცევს დაღლა ორივე გუნდს ეტყობოდა. „ვესტა" ობოლაძის, ლიბრაძისა და მარჯანიშვილის მოიმედედ გამოიყურებოდა, „შევარდენში" კი ჩიქავა და მგელაძე აქტიურობდნენ. და მაინც, თამაში ერთობ დუნედ მიმდინარეობდა, რასაც ბულიც უწყობდა ხელს.

საწყისი მეოთხედის შემდეგ მზე ღრუბლებს მიეფარა და გრილმა, მაგრამ ერთობ ჭირვეულმა ქარმა წამოუბერა. თუ მანამდე გუნდების დამრტყმელებმა ორ-ორი საჯარიმო შეაგდეს, მერე გაუჭირდათ. პირველი ნახევრის ბოლომდე „ვესტას" ზურგქარში მოუწია თამაშმა, მაგრამ მათმა დამრტყმელმა მარჯვენა ფრასიდან ერთი საჯარიმო კარს ვერ უწია, მეორე კი ძელს მოხვდა. ნახევარი თამაში ფრედ დამთავრდა.

შესვენების შემდეგ საზოგადო სურათი არ შეცვლილა. ქარი ერთობ უწყალებდა გუნდებს გულს, მორაგბეები კი, თუკი რაიმეს წამოიწყებდნენ, სულ განდაგან დარბოდნენ. ქარი ახლა „შევარდენის" შემწე უფრო იყო, მაგრამ ბოლოსწინა, მეშვიდე ათწუთეულში „ვესტამ" იძალა.

ბოლო ათ წუთში „შევარდენის" შერკინებამ აშკარად დაჩაგრა მეტოქე. მასპინძლებმა შერკინებებში რამდენჯერმე დიდი მანძილით უკან დაახევინეს ვესტელებს. სტუმრებმა ბურთი ერთხელ უხეიროდ მოიგერიეს, მაგრამ „ბეირუთ" იურინის დიდებული არეკნი კარს ასცდა. მერე შერკინებიდან მიღებული ბურთის არეკნით გატანა მოდებაძემ სცადა, მაგრამ ამაოდ.

ამასობაში შებინდდა. ფრე თითქოს გარდაუვალი იყო, მაგრამ „შევარდენის" მორკინალთა მორიგ ბიძგს „ვესტამ" ვერ გაუძლო და დაჯარიმდა. მოდებაძემ საღამოს შვიდ საათზე მარცხენა ფრთიდან მეოთხე საჯარიმოც შეაგდო.

თამაში კიდევ ხუთ წუთს გაგრძელდა. „ვესტამ" „შევარდენის" 22-ში დერეფანი მოიგო, უკანა ხაზზეც გამოათამაშა ბურთი, მაგრამ შეფერხდა. მასპინძლებმა ხიფათს თავი დააღწიეს, მაგრამ შემდეგ ეპიზოდში მათს 9 ნომერს ქავთარაშვილმა დაუფარა, მარჯანიშვილი კი ოდნავ ასცდა ბურთს.

„შევარდენმა" ეროვნულ ჩემპიონატებში პირველად დაამარცხა „ვესტა" და დაწინაურდა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შევარდენი | 8 | 7 | 0 | 1 | 193-129 | 14 |
| ვესტა | 9 | 7 | 0 | 2 | 258-105 | 14 |
| აზოტი (რუსთ.) | 8 | 6 | 0 | 2 | 172-119 | 12 |
| ამირანი | 9 | 5 | 0 | 4 | 115- 87 | 10 |
| თბილისი | 8 | 2 | 0 | 6 | 149-209 | 4 |
| ყოჩები | 7 | 1 | 0 | 6 | 117-205 | 2 |
| ქორები | 7 | 0 | 0 | 7 | 61-211 | 0 |

# მერაბ რატიანი: დინამო არ დაიშლება



„დინამო“ — „მალაროელის“ მთელი მატჩის განმავლობაში და განსაკუთრებით შესვენებაზე სტადიონზე მოსულ სამიათასამდე მაყურებელს მხოლოდ ერთი კითხვა აწუხებდა, დაიშლებოდა თუ არა თბილისის „დინამო“ მას შემდეგ, რაც უეფამ ძალაში დატოვა თავისი ვერდიქტი ჩვენი გუნდის ორწლიანი დისკვალიფიკაციის შესახებ. გასაგებია მოთამაშეთა მდგომარეობა, თუ ევროპულ ტურნირებზე აღარ დაგვიშვებენ, რისთვისღა ითამაშონ ეროვნულ ჩემპიონატში კიდევ ორი წელი, მითუმეტეს, რომ თითქმის ყველა მათგანს ევროპის რომელიმე კლუბი ეპატიჟება. „მავანთა დოყლაპიობის გამო ყველაზე მეტად ჩვენ დავზარალდითო“ — ამბობდნენ ტრიბუნაზე. მტყუან-მართალის ძიება ჩვენი საქმე არ არის, როცა იქნება ალბათ ყველაფერი გაირკვევა, მითუმეტეს დინამოელთა და ამ საკითხში მონაწილეთა გუშინწინდელმა სატელევიზიო გამოსვლამ ბევრ რამეს მოჰფინა ნათელი. მთავარია ახლა მომავალზე ვიფიქროთ, რათა საქართველო უფეხბურთოდ არ დარჩეს. არასოდეს დამავიწყდება როგორ იყვნენ გახარებულნი სახლ-კარის გარეშე დარჩენილი სოხუმელები დინამოელთა წარმატებით, არც ის „ზვიადისტი“ დამავიწყდება, როგორმე „კოპენჰაგენთან“ ბილეთი გამიხერხეო, რომ მითხრა. ფეხბურთის გულშემატკივრებმა ისიც კი მითხრეს, თურმე ლოთი ქობალიას თხოვნა შემოუთვლია ზუგდიდიდან თხუთმეტი ათასი ბილეთის თაობაზე დანიელებთან მატჩში. მოკლედ ფეხბურთს შესწევს ძალა საქართველოს გაერთიანების და ახლა საქართველოს „დინამოს“ გარეშე დატოვება მართლაც ერის ღალატი იქნება. დილმის ბაზაზე რა სიტუაციაც სუფევს, ალბათ არ უნდა ახსნა. „დინამოს“ პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ თავაზიანი უარი მოგვიხადა ინტერვიუზე. როგორც შევნიშნე, ყველას ეტყობა, რომ ასე თუ ისე გამოსულია მდგომარეობიდან, რასაც ვერ ვიტყვით მერაბ ჟორდანიაზე, „ბოლო წუთამდე მეგონა, ჩვენს სასარგებლოდ გადაწყვიტავდნენ, მითუმეტეს მსაჯების აღიარების შემდეგო“ — ესღა მითხრა მან. ვისარგებლე კლუბის ერთ-ერთი მეპატრონის, „დინამოს“ სპონსორის „ბერმუხა 92“-ის პრეზიდენტის მერაბ რატიანის ბაზაზე ყოფნით და ის შეკითხვები დავუსვი, ყველაზე მეტად რომ აინტერესებს ქართველ გულშემატკივარს. მერაბ რატიანი ამ დღეს, 13 სექტემბერს, 33 წლის გახდა. თურმე იგი სწორედ ორშაბათს დაბადებულა. მერაბს „ქრისტეს ასაკში“ შესვლა მივულოცე და „შეტევაზე“ გადავედი:

— ბატონო მერაბ, ერთ-ერთი გულშემატკივრის კითხვისა არ იყოს, თქვენ როგორ თვლით, გაქვთ კი ამის შემდეგ „დინამოს“ სათავეში დგომის მორალური უფლება?

— მე მოკლედ მოგიყვებით ჩვენი კლუბში მოსვლის ისტორიას და თავად გულშემატკივარმა განსაჯოს: გასული წლის ოქტომბერში, როცა მე და ჩემი მეგობრები გუნდში მოვედით, საკვებიც კი არ ჰქონდა გუნდს, ფორმაზე და ინვენტარზე რომ არაფერი ვთქვათ. ჩვენ დიდ რისკზე წავედით, წესიერად არც კი ვიცოდით, რაში ვდებდით უზარმაზარ თანხას, ან გაამართლებდა კი? მაშინვე მიზნად დავისახეთ ჩვენი გუნდის ევროპულ ტურნირებზე გასვლა და მივაღწიეთ კიდეც მიზანს. გვინდოდა ევროპული დონის გუნდის შექმნა — ესეც შევძელით, იმედია ამაში უკვე ეჭვი აღარავის ეპარება. თქვენ უკეთესად არ იცით, რამდენი კაცი დადის „დინამოს“ თამაშებზე ეროვნულ ჩემპიონატში? „ლინფილდთან“ კი სამოცი ათასი მოვიდა და დარწმუნებული ვარ ყველა აღფრთოვანდა დინამოელთა თამაშით. სამოცი ათასიდან ორმოცდაათი ათასი მაინც ხომ პირველად მოვიდა „დინამოს“ თამაშზე. ეს ხალხიც ჩვენსკენ შემოვატრიალეთ. ეროვნული სტადიონი, კაკილაშვილი რომ დაინიშნა დირექტორად, სულს ღაფავდა, სტადიონზე სამარცხვინო [illegible] იყო გაჩაღებული, მეორე დღესვე შევწყვიტეთ. განათება 1200 ლუქსამდე ავიყვანეთ და ახლო მომავალში 1600-მდე გავზრდით. მინდა ხალხმა იცოდეს, რომ სტადიონსაც ფაქტიურად ჩვენ ვინახავთ. გულშემატკივართათვის მოძრავ ტაბლოს ვამონტაჟებდით, ლუჟნიკებს რომ აქვთ. 15 სექტემბერს უკვე მზად იქნებოდა. ფეხბურთელებს მაქსიმალური კომფორტი შევუქმენით — მათ არანაირი პრობლემა არა აქვთ — მანქანა, ბინა, ხელფასი, პრემიები — ყველაფერი უკანასკნელ ნიუანსამდეა გათვლილი. როდესაც „ადიდასს“ ფორმა შევუკვეთეთ გვითხრეს, ასეთი შეკვეთა „ლივერპულისა“ და „ბაიერნისგანაც“ კი არ მიგვიღიაო. რეზინის ჩუსტებიდან დაწყებული ზამთრის თბილი ქურთუკებით დამთავრებული ყველაფერი დავამზადებინეთ. „კოპენჰაგენთან“ გუნდი „დინამოს“ ტრადიციული, ძველი ფორმით გამოვიდოდა — 60-იან წლებში რომ ეცვათ ჩვენებს. ჩვენ მაშინ, გუნდში მოსვლისას, ქართული ფეხბურთის გადარჩენა გვინდოდა და ვფიქრობ, მოვახერხეთ კიდეც.

რაც შეეხება იმ საკითხს, რის გამოც „დინამო“ გამოთიშეს ევროტურნირიდან, ჩვენ არაფერ შუაში ვართ. მსაჯებთან ურთიერთობა ჩვენი საქმე არ იყო. ამას შესაბამისი ორგანოები აკეთებდნენ. რაც მოგვივიდა, ჩვენივე გამოუცდელობით. და მიმაჩნია, რომ უეფა სავსებით სწორად მოიქცა ამ შემთხვევაში. ეს კარგი გაკვეთილი იქნება ჩვენთვის.

მე თითქმის ყველაფერი გითხარით, ახლა კი თავად განსაჯეთ, გვაქვს თუ არა მორალური უფლება ვიყოთ გუნდის სათავეში მე და ჩემს მეგობრებს. ისე კი ერთს გეტყვით, თუ რომელიმე ფირმა თუ კონცერნი ამხელა ხარჯებს გაიღებს და ჩვენზე უკეთესად შეინახავს დღეს გუნდს, მოვიდეს ბატონო, უყოყმანოდ დავუთმობთ ადგილს. ზედმეტი ფული არც ჩვენს ოჯახებს აწყენს...

— ბევრს აღიზიანებს, რომ გუნდის მეპატრონეთა შორის ზაზა ვეფხვაძე და გია სვანაძე არიან. ხშირად გაიგონებ, „რამდენიმე არაკომპეტენტური პიროვნებაა გუნდში მოკალათებულიო“, ან კიდევ „მხედრიონის“ გუნდია „დინამოო“...

— ამ საკითხს მინდა ერთხელ და სამუდამოდ ნათელი მოვფინო. გუნდის ცხრა მეპატრონიდან მერაბ ჟორდანია, ნუკრი კაკილაშვილი, რომან შოთაძე, უჩა მალაზონია და მე ფეხბურთელები ვიყავით. ზაზა ვეფხვაძე, გია სვანაძე და ვალერი შალიკაშვილი კი თბილისურ მინიფეხბურთში ცნობილი პიროვნებები არიან. მათი გუნდი „ოქროსუბანი“ არაერთხელ გამხდარა თბილისის ჩემპიონი, საერთაშორისო ტურნირებიც კი მოუგიათ. ვოვა ისელიძე ხომ ცნობილი წყალბურთელია. ვინ არის ზემოთაღნიშნული პიროვნებებიდან არაკომპეტენტური? ჩვენ ყველანი ბავშვობიდან ერთად ძოვდივართ, გვიყვარს ფეხბურთი და ამაშია ჩვენი სიძლიერე...

— „ბოროტი ენები“ იმასაც ამბობენ, კლუბში იმიტომ მოვიდნენ, მოთამაშეები რომ გაყიდონ და მოგება ნახონო...

— ერთი წელია გუნდის სათავეში ვართ და ამ ხნის განმავლობაში ვინ გაიყიდა საზღვარგარეთ? არზიანი და კუდინოვი, რომელთა ასაკიც ოცდაათ-ოცდაათი წელი იყო. ახლა ალბათ ჩიქოვანსაც გავუშვებთ საზღვარგარეთ, ალბათ მანაც დაიმსახურა. არცერთი სხვა მოთამაშე არავითარ შემთხვევაში არ გაიყიდება, ჩვენ უკვე ვესაუბრეთ ბიჭებს ამის შესახებ და მათაც თანხმობა განაცხადეს. მომავალშიც მათ ყველა ის პირობა ექნებათ შექმნილი, რასაც საზღვარგარეთის კლუბები ჰპირდებიან.

— კარგი პირობები კარგია, მაგრამ თუ „დინამო“ კვლავ საქართველოს ჩემპიონატის იმედად დარჩა, ვფიქრობ ფეხბურთელთა კლასი დაიწევს და ამით ქართული ფეხბურთი ძალიან დაზარალდება.

— ჩვენ არც ვაპირებთ საკუთარ ნაჭუჭში გამოკეტვას. თებერვალში კვლავ მიგვიწვიეს მოსკოვში „ჩემპიონთა ტურნირზე“. სხვათაშორის მოწვევის ფაქსი ერთი თვე იდო ფეხბურთის ფედერაციაში და მხოლოდ ახლა გადმოგვეცეს დაგვიანებით, მაგრამ პასუხი უკვე გავაგზავნეთ და ვფიქრობ, ჩაგვრთავენ ამ ტურნირის მონაწილეთა სიაში, საპრიზო ფონდი 50 000 დოლარია. თებერვლამდე გავემგზავრებით საფრანგეთში, გერმანიაში, ავსტრიაში, იაპონიაში და სხვა ქვეყნებში საერთაშორისო მატჩებსა თუ ტურნირებზე, არც ერთ ტურნირს არ გამოვტოვებთ, იმედია ფეხბურთის ფედერაცია ამაში მაინც დაგვიჭერს მხარს.

— ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ ქართველმა გულშემატკივარმა რა დააშავა?

— ჩვენ პირველ რიგში ქართველი გულშემატკივრის პოზიციიდან გამოვდივართ. თებერვლამდე აუცილებლად ჩავატარებთ საერთაშორისო ოთხთა ტურნირს თბილისში, ეროვნულ სტადიონზე. ერთ გუნდს რუსეთიდან მოვიწვევთ, ერთს — ევროპიდან, ერთსაც — სამხრეთ ამერიკიდან, საჭიროა მხოლოდ ორი თანასპონსორის პოვნა, რაც ვფიქრობ დიდ სიძნელეს არ უნდა წარმოადგენდეს დღეს საქართველოში. 100 000 დოლარიან საპრიზო ფონდს დავაწესებთ და ამხელა თანხაზე არცერთი ძლიერი გუნდი არ იტყვის უარს.

— ერთ კითხვას უკვე პირადად ჩემი და ჩემი კოლეგებისას დაგისვამთ. ნუთუ არ შეიძლებოდა იმ გასვლებსა თუ ტურნირებზე, სადაც თბილისის „დინამო“ იღებდა მონაწილეობას, მათ შორის „ლინფილდთან“ განმეორებით მატჩზე თქვენი ხარჯებით წაგეყვანათ ორიოდე ჟურნალისტი, რათა გულშემატკივრებს ამომწურავი ინფორმაცია ჰქონოდა „დინამოს“ საზღვარგარეთულ ვოიაჟებზე? მართლაცდა მეტად ულამაზოდ გამოდის — ჩამოვა გუნდი საზღვარგარეთიდან და ყველა ჟურნალისტი ბაზაზე გამორბის, რათა ქვეყნის პირველი გუნდის გამოსვლაზე ინფორმაცია მიაწოდოს მკითხველს.

— სავსებით მართალი ბრძანდებით. ეს ჩვენი დანაშაულია. პირობას გაძლევთ ამიერიდან ყველა ტურნირზე ორ-სამ ჟურნალისტს ჩვენი ხარჯებით წავიყვანთ.

— თქვენს ზემოთმოყვანილ არგუმენტებს ვეთანხმები, მაგრამ თავად ფეხბურთელები რას ფიქრობენ, დარჩებიან გუნდში?

— იმ ავბედით საღამოს ყველამ ერთად გავათიეთ ბაზაზე ღამე და თითქმის ყველაფერზე შევთანხმდით. ყველა ერთი აზრისაა — გუნდი უნდა შევინარჩუნოთ. შოთა არველაძემ ყველას პასუხი ერთად თქვა — „საქართველოდან ისე როგორ უნდა წავიდე, კიდევ ერთხელ მაინც რომ არ ვითამაშო სავსე ტრიბუნების წინო“. ცარიელი ტრიბუნების წინ თამაშს დაჩვეული „დინამოს“ ფეხბურთელები „მოიწამლნენ“ სავსე ტრიბუნებით, მათ შეუყვარდათ სტადიონზე მოსული ხალხი, ვფიქრობ მეორე მხრიდანაც იგივე მოხდა. ალბათ ამიერიდან ხალხი აღარ მიატოვებს „დინამოს“.

— რა გარანტიებია, რომ უეფა მომავალ წელს გვათამაშებს ჩემპიონთა თასზე?

— ჩვენ მოკლე ხანში თხოვნით მივმართავთ უეფას, რათა ერთ წლამდე დაგვიყვანოს დისკვალიფიკაციის ვადა. ვიმეორებ თხოვნით და არა აპელაციით. ვიმედოვნებ, ყველაფერი კარგად დასრულდება. ჩვენ არავის ვადანაშაულებთ მომხდარში. ჩვენ ქართულ ფეხბურთს შუა გზაზე არ მივატოვებთ...

...გამომშვიდობებისას უჩა მალაზონიამ მითხრა: „იცი რა მდგომარეობაში აღმოჩნდით? დიდი გაჭირვებით კაცი ქარხანას რომ ააშენებ, მანქანა-დანადგარებს იყიდი, მასალას იშოვი და მუშახელსაც მოიყვან. და ეს ყველაფერი ვიღაცამ რომ გადაგიწვას — აი ასეთ დღეში ვართ ჩვენ“. საქმეც იმაშია, არსებობს ის ვიღაცა თუ ხანძარი დაუდევრობის ბრალია. იმედია ამომწურავ პასუხებს ჟურნალისტები უახლოეს დღეებში „დინამოს“ მიერ მოწყობილ პრესკონფერენციაზე მიიღებთ, რომელიც მთლიანად ამ გახმაურებულ სკანდალს მიეძღვნება.

მამუკა კვარაცხელია

## პირველი ჯგუფი

### აღმოსავლეთი

VIII ტური, 10 სექტემბერი

საპოვნელა — მრეტები 4:0
დინამო — მალაროელი 7:2
შევარდენი 1906 — დილა 1:0
ერქვანი — კახეთი 2:2
მარგვეთი — მეტალურგი 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 6 | 6 | 0 | 0 | 30-5 | 18 |
| მარგვეთი* | 7 | 4 | 1 | 2 | 17-10 | 13 |
| მალაროელი | 8 | 4 | 1 | 3 | 15-16 | 13 |
| შევარდენი | 7 | 4 | 0 | 3 | 15-13 | 12 |
| კახეთი | 6 | 3 | 2 | 1 | 11-6 | 11 |
| საპოვნელა | 8 | 3 | 1 | 4 | 12-9 | 10 |
| ერქვანი | 7 | 2 | 3 | 2 | 13-15 | 9 |
| ივერია | 6 | 2 | 2 | 2 | 7-7 | 8 |
| დილა | 7 | 2 | 0 | 5 | 6-13 | 6 |
| მრეტები | 5 | 1 | 0 | 4 | 2-17 | 3 |
| მეტალურგი | 7 | 1 | 0 | 6 | 5-21 | 3 |

### დასავლეთი

VIII ტური, 10 სექტემბერი

შუქურა — მზიური 3:2
სამგურალი — ცხუმი 1:3
ტორპედო — ოდიში 1:2
სამტრედია — ბათუმი 1:0

**კოლხეთი 1913 — 2**
**გურია — 1**

ფოთი, სტადიონი „კოლხეთი“
10 სექტემბერი

„კოლხეთი 1913“: დევაძე, თიბილაშვილი, მაჭავარიანი, ქუნთელია, მიქაბერიძე, გოროზია, მახარაძე, ჯულელი, დარასელია, ჩხაიძე.
„გურია“: აბუსერიძე, პაპავა, თევზაძე, დანელია, ბუცურეიშვილი, მალანია, ნარიაშვილი, რეხვიაშვილი, კორღალიძე, გოგოლაძე, გამცემლიძე (დოლბაია, 59; ფრიდონაშვილი, 73).

0:1 კორღალიძე (35)
1:1 ჯულელი (63 პ)
2:1 დარასელია (87 პ)

გაფრთხილება: რეხვიაშვილი
მსაჯი: ე. სილაგავა (თბილისი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბათუმი | 8 | 5 | 1 | 2 | 17-7 | 16 |
| გურია | 6 | 5 | 0 | 1 | 24-5 | 15 |
| სამტრედია | 6 | 4 | 1 | 1 | 14-7 | 13 |
| კოლხეთი | 6 | 4 | 1 | 1 | 13-7 | 13 |
| შუქურა | 5 | 2 | 1 | 2 | 9-10 | 7 |
| ტორპედო | 7 | 2 | 1 | 4 | 7-12 | 7 |
| ცხუმი | 6 | 1 | 3 | 2 | 9-16 | 6 |
| ოდიში | 5 | 1 | 2 | 2 | 10-13 | 5 |
| მზიური | 7 | 1 | 2 | 4 | 8-19 | 5 |
| ამირანი | 6 | 0 | 4 | 2 | 12-16 | 4 |
| სამგურალი | 6 | 1 | 0 | 5 | 5-16 | 3 |

## მეორე ჯგუფი

### აღმოსავლეთი

IV ტური

არმაზი — არაგვი 3:0
სიონი — არმაზი-90 1:2
(ეკობელას დაერქვა არმაზი-90)
რკონი — ერქვანი-ზოოვეტი 3:1
ჭაბუკიანი — მერანი 91 3:0
თეთრი არწივი — ანცი 0:2
შირაქი — ბაჩო-მერანი 1:1
ნაფარეული — ქართლი 4:0
თორი — ბახტრიონი 4:0
მესხეთი — დურუჯი 2:1

### დასავლეთი

IV ტური

ბახმარო — კოლხეთი 2:2
უქიმერიონი — ეგრისი 2:3
ანაკო-მერცხალი — იმერეთი 2:0
მეშახტე — გურია-2 6:2
კახაბერი — სულორი 1:1

## მესამე ჯგუფი

### I ზონა

იმედი — ვიქტორია 0:6
იბერია — ავაზა 2:1
ჟინვალი — ტორპედო-2 4:4
მუხნარი — ცხინვალი 3:2

### II ზონა

ქიზიყი — შუამთა 4:2
ალგეთი — სამგორი 1:9
გარეჯი — იმედი 2:0
მერანი — ფხოვი 2:0

საქართველოს ფეხბურთის მსაჯთა ასოციაციამ მატჩებზე გამოუცხადებლობისთვის 15-15 ათასი კუპონით დააჯარიმა გვერდითი მსაჯები ზ. ბერიძე, რ. გუგბერიძე და ზ. დოლიძე.

## საქართველოს თასი

დღეს გაიმართება მერვედფინალის პირველი მატჩები: მზიური — ამირანი, სამტრედია — ტორპედო, ივერია — ერქვანი, საპოვნელა — გურია, მეშახტე — მალაროელი, ცხუმი — მეტალურგი, ოდიში — სამგურალი, მრეტები — ბათუმი, მესხეთი — დილა, ეგრისი — დურუჯი, შუქურა — შევარდენი 1906, კოლხეთი 1913 — კახეთი, ანცი — თეთრი არწივი, კოლხეთი (აბაშა) — არაგვი. განმეორებითი მატჩები — 28 სექტემბერს.

ქართული ბიბლიოთეკა



# სოხუმი: სანგრიდან ტრიბუნაზე

შარშან გაზეთ „ქართულ ფეხბურთში" დიდი მასალა გამოვაქვეყნე სოხუმის „ცხუმზე"; შემდეგ ბევრ სოხუმელ მოთამაშესთან ავიღე ინტერვიუ და მუდამ ამ სიტყვებს ვიმეორებდი: „ფეხზე წამოუდექით სოხუმელ ფეხბურთელებს, ტაში დაუკარით და მოეფერეთ"... არც ახლა გვაწყენს ამის გაკეთება.

ზუსტად წელიწადსა და 19 დღეში სოხუმში ისევ ითამაშეს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის გახსნის მატჩი. წელს, ისევე როგორც შარშან, ეროვნული ჩემპიონატი მსახიობმა დიმიტრი ჯაიანმა გახსნა, მაგრამ დიდი განსხვავება იყო შარშანდელ და წლევანდელ მაყურებელს შორის. სტადიონის ბეტონის ტრიბუნაზე (ხის სკამები შეშად გამოიყენეს ზამთარში სოხუმელებმა) ძირითადად სამხედრო ფარაჯიანები ისხდნენ და მათ უკვე აღარ სჭირდებოდათ (შარშანდელისგან განსხვავებით) იმის თქმა, რომ ქართველები ერთად უნდა დავდგეთ... მათ, ვინც საათნახევარი იჯდა ტრიბუნაზე, თერთმეტი თვის განმავლობაში დაივიწყეს ვინ ვისი მომხრეა და ერთად იცავდნენ ქალაქს.

დასასრულს მადლობას ვუხდი „ცხუმის" მენეჯერს აკაკი პაპავას, №2 პურის ქარხნის ცვლის უფროსს გია ასათიანს, გონერ და ჯამბულ ბერიებს, რომლებმაც დიდი დახმარება გამიწიეს მასალების მოპოვებისა და გამომგზავრების დროს.

## გურამ გაბესკირია: ახლა მაინც ამოგვიდექით გვერდში

გურამ გაბესკირია უეჭველად ის კაცია, რომლის სახელსაც მომავალი თაობები სოხუმში მოწიწებით მოიხსენიებენ. უკანასკნელი წლები ამ მსუქანმა, სიმპათიურმა მამაკაცმა სამშობლოსთვის ბრძოლაში გაატარა, ბრძოლაში, რომელიც სეპარატისტებმა ფეხბურთით დაიწყეს...

ჯერ ამ სფეროში გაამარჯვებინა გაბესკირიამ ქართველებს, შემდეგ კი უკვე ნაღდი ბრძოლის დრო დადგა და ბატონმა გურამმა არც მაშინ შეირცხვინა თავი, ფეხი არ მოუცვლია ქალაქიდან და ყველაზე ტრაგიკულ დღეებში ქალაქის მერადაც აირჩიეს. ამ გაწამაწიაში მერმა არც „ცხუმი" მიატოვა გასაჭირში და ხან რით ეხმარებოდა, ხან რით. იგი ჰაერშიც იყო და მიწაზეც, ხანდახან ზედ სტადიონზეც დაასმე-



გურამ გაბესკირია

ვინებდა ვერტმფრენს „ცხუმის" თამაშის საყურებლად. ზავის ჩამოგდების შემდეგ სოხუმის მერმა და ფ.კ. „ცხუმის" პრეზიდენტმა ქალაქისა და გუნდის აღდგენას მოჰკიდა ხელი.

**— ბატონო გურამ, ზოგს სიმშვიდე მოჩვენებითი ჰგონია. თქვენი ოჯახი თუ ჩამოიყვანეთ სოხუმში?**

— დიდი ხანია აქ არიან...

**— აფხაზები თუ ბრუნდებიან სოხუმში?**

— მშვიდობიანი მოსახლეობა ბრუნდება, ხოლო მათ, ვისაც იარაღი ეჭირა და საკუთარ ქალაქს უშენდა, აბა, როგორ შემოვუშვებთ? თუ შემოსვლა უნდათ, ჯერ ქართველები დააბრუნონ ლესელიძესა და გაგრაში.

**— თქვენ როგორ მიგაჩნიათ, ეს როდის მოხდება?**

— როცა ფსოუზე გაერთიანებული ჯარი დადგება, ხელშეკრულების მიხედვით.

**— შესაძლებლად მიგაჩნიათ აფხაზებთან შერიგება?**

— აფხაზი ხალხი რა შუაშია ამ ომში, ის არძინბამ და მისმა ერთმა მუჭა ხროვამ დაიწყო. სხვათაშორის, მინდა მას დიდი მადლობა მოვახსენო — ვისაც კაცი ერქვა სოხუმში, ყველა ერთად დადგა ამ გაჭირვების ჟამს, ზვიადისტიც და ანტიზვიადისტიც. არძინბამ შეკრა აქაური ქართველობა.

**— რეალურად როგორ მიგაჩნიათ ჩვენი შერიგება?**

— არძინბას მთავრობა სოხუმში ვერ დაბრუნდება, მას ამის არანაირი უფლება არა აქვს. ალბათ ხალხი ახალ არჩევნებს ჩაატარებს. მანამდე მათი მხრიდან უზენაესმა საბჭომ უნდა იმოქმედოს დროებით, თუ ხალხი ჩემზეც პრეტენზიებს გამოთქვამს, მეც იმწამსვე გადავდგები, ზოგიერთებივით კბილებით კი არ ჩავებღაუჭები სკამს...

**— „ცხუმს" მუდამ სტადიონის პრობლემა აწუხებდა...**

— აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით რესპუბლიკური სტადიონი „ცხუმს" გადაეცა.

**— ბაზის საკითხი როგორ იქნება?**

— ჯერჯერობით გუნდი სამხედრო სანატორიუმში იქნება, შემდეგ კი ალბათ ეშერის ბაზაზეც შესაძლებელი გახდება ვარჯიში.

**— თვითონ გუნდზე რას იტყვით?**

— მომავლის გუნდია. ამ ახალგაზრდა ბიჭებისაგან 2-3 სეზონში კარგი გუნდი დადგება.. ალბათ მალე ჩიხრაძეს, გაბისკირიასა და ჟორჟოლიანსაც ჩამოვიყვანთ.

**— პრესაში დაიწერა, რომ „მზიურთან" ფრეთი განაწყენებულმა, თურმე მსაჯები ფეხით გაუშვით შინ.**

— იმ მატჩის მსაჯებს მე უკმაყოფილება მართლაც განვუცხადე. ტრიბუნაზე 8000 კაცი იჯდა, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა პირდაპირ სანგრებიდან მოვიდა სტადიონზე. მატჩის არბიტრმა ვოვა ეჯიბიამ კი ოთხწუთნახევარი მოაკლო თამაშს. იცით, ხალხი რას გაჰყვიროდა? მსაჯები — აფხაზები! მატჩის შემდეგ ისინი გალის ავტობუსში ჩასხდნენ და „მზიურს" თან გაჰყვნენ. ის სიტყვები კი, პრესაში რომ დაიწერა, ავტორის სინდისზე იყოს, თანაც ფედერაციაში მსჯელობის საგანი გახდებაო — წერდა.

**— ადრე ჩემთან საუბარში უკმაყოფილება გამოთქვით ფედერაციის გადაწყვეტილებაზე — სამტრედიაში დახვედროდით მსაჯებსა და სტუმარ გუნდებს და სოხუმამდე ჩაგეყვანათ.**

— ჩვენ გვხვდება ვინმე, ვთქვათ, ზუგდიდში და ბათუმამდე ჩავყავართ? ან გალიდან რატომ არ მივყავართ წყალტუბოში? რომელი მუშაკის ბედოვლათ ტვინში მომწიფდა ეს უაზრო დებულება? საომრად არ ჩამოდიოდნენ სოხუმში და სათამაშოდ ჩამოსვლაც ეშინიათ?! თუ აფხაზეთი საქართველო აღარ არის?

**— რა თხოვნა გექნებათ ქართველ გულშემატკივრებთან?**

— უპირველეს ყოვლისა, ყველას ვულოცავთ „დინამოს" წარმატებას (ინტერვიუ 9 სექტემბრამდეა აღებული. მ.კ.) ეს ჩვენი გამარჯვებაც არის. ქართველო გულშემატკივარო, შენ კი, როგორც შეგიძლია, ისე ამოუდექი სოხუმს მხარში. თითო ქალაქმა თითო ტროლეიბუსი რომ გვაჩუქოს, იცით რამხელა შეღავათი იქნება ჩვენთვის? მსაჯებს კი ვთხოვ, ობიექტურად იმსაჯონ. ჩვენ კიდევ დაჩაგვრა გვინდა? ნუთუ არ გესმით, რას ნიშნავს „ცხუმი" საქართველოსთვის.

## ნიკა ამირეჯიბი: ფეხბურთის გარდა აღარაფერი დამრჩა...

ქართველ ფეხბურთელებს იშვიათად იწვევდნენ სსრკ ნაკრებში, კიდევ უფრო იშვიათად — ქართველ მწვრთნელებს. ნიკა ამირეჯიბს წილად ერგო ქართველ მწვრთნელთაგან ყველაზე მეტხანს ემუშავა სსრკ ახალგაზრდულ ნაკრებში, რომელიც ძალზე ხშირად იმარჯვებდა თანატოლებს შორის მოწყობილ ტურნირებში. ეროვნულ ჩემპიონატში ამირეჯიბმა დაამტკიცა, რომ საკლუბო გუნდშიც შესძლებია მაღალი შედეგების მიღწევა: ოზურგეთის „მერცხალი", რომელიც ახალგაზრდა ფეხბურთელებით იყო დაკომპლექტებული, გამოცდილი მწვრთნელის ხელში ანგარიშგასაწევ ძალად იქცა უმაღლეს ჯგუფში (ბატონი ნიკას წამოსვლის შემდეგ „მერცხალმა" ფაქტიურად შეწყვიტა ფრენა და ერთი დონით ჩამოქვეითდა კიდეც). შემდეგ იყო მატჩი ნაფარეულში, სადაც ნიკა ამირეჯიბის თაოსნობით საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ისეთი ოთხმოცდაათი წუთი აჩუქა მაყურებელს, რომელიც მანამდეც და შემდეგაც იშვიათად გვინახავს. შემდეგ მოხდა ისე, რომ ამ სპეციალისტისთვის არ გამოინახა ადგილი საქართველოს ერთ-ერთი ნაკრების საჭესთან და ამირეჯიბმაც სოხუმის „ცხუმს" მიაშურა. მისი ხელმძღვანელობით „ცხუმმა" პატარა სასწაულიც კი ჩაიდინა და ზედიზედ მოიგო თამაშები, მაგრამ მეტი ახალგაზრდა გუნდმა ვერ შესძლო. ომის დამთავრების შემდეგ კი ბატონმა ნიკამ გუნდთან ერთად სოხუმს მიაშურა, რათა საძირკველი ჩაეყარა გმირი სოხუმელთათვის საკადრისი გუნდისთვის.

**— ბატონო ნიკა, რამდენ წელიწადში ეყოლება სოხუმს მისთვის საკადრისი გუნდი?**



ნიკა ამირეჯიბი

— ძლიერი გუნდის შესაქმნელად 3-4 წელიწადია საჭირო. მთელი ამ ხნის განმავლობაში ერთსა და იმავე ხალხთან უნდა იმუშავო, თანაც ადგილობრივებთან, რათა არ დაგემართოს ის, რაც ლანჩხუთსა და გურჯაანს გადახდათ...

**— თქვენ ამ მხრივ კარგად გაქვთ საქმე, ახალგაზრდა, ნიჭიერი ბიჭები გყავთ, თანაც სულ სოხუმელები.**

— „ცხუმი" ყველაზე ახალგაზრდაა. გამოცდილი მოთამაშეების წასვლის შემდეგ სრულიად ახალი გუნდი მივიღე. ამ ბიჭებს უნდათ ფეხბურთის თამაში, მათთან საინტერესოა მუშაობა, ვარჯიშებზეც თავს იკლავენ. მინდა ისინი ტოტალურ ფეხბურთს მივაჩვიო, რაც ასე აკლია ქართულ ფეხბურთს. ამისათვის საჭიროა ათლეტიზმი, კარგი ფუნქციონალური მომზადება, ჩვენ უკვე გადავდგით პირველი ნაბიჯები.

**— რამდენიმე დღეა გუნდთან ერთად ვარ და ხან პური გაკლიათ, ხან ხორცი, ხანაც სხვა პროდუქტი. განა ასეთ პირობებში შესაძლებელია სრულყოფილად მომზადება?**

— საქმეს რეალურად უნდა შევხედოთ. სოხუმი დანგრეულია, ვის უნდა ეცალოს ფეხბურთისთვის, ხალხს სახლები არა აქვთ. რომ არა გურამ გაბესკირია, ესეც არ იქნებოდა. რა აზრი აქვს წუწუნს, შეიცვლება რამე? ყველა ფეხბურთელს უკვე თავის სათამაშო წონაზე ნაკლები წონა აქვს, არადა როგორია ორჯერადი ვარჯიშები ნორმალური საკვების გარეშე? მაგრამ რას ვიზამთ, რახან გადავდგით ეს ნაბიჯი, ბოლომდე უნდა გავიტანოთ.

**— გურამ გაბესკირია ახსენეთ. ამ კაცის სახელი ალბათ ოქროს ასოებით უნდა ჩაიწეროს სოხუმის ისტორიაში.**

— ჩვენ ისეთი პრეზიდენტი გვყავს, რომ არაფრის გვეშინია. მასთან შეიძლება მუშაობა. მე დიდ იმედებს ვამყარებ მასზე და ჩემი სოხუმში ყოფნის ძირითადი მიზეზიც მის კაცურკაცობაშია.

**— ბატონო ნიკა, საქართველოში რამდენგუნდიანი ჩემპიონატი მიგაჩნიათ ოპტიმალურად?**

— 18 ან მაქსიმუმ 20 გუნდიანი. 22 ძალიან ბევრია. თამაშები კვირაში ერთხელ უნდა ჩატარდეს.

**— წინასასეზონო მომზადება თუ გაიარეთ ხეირიანად?**

— სხვათაშორის, დიდი მადლობა უნდა მოვუხადო „მერცხალისა" და „შუქურას" პრეზიდენტებს, რომლებიც ფინანსურად დაგვეხმარნენ. ქობულეთში სულ რაღაც 5 მილიონ კუპონად მთელმა გუნდმა იმ გუნდებზე კარგი მომზადება გაიარა, თითო ფეხბურთელში 18 მილიონი რომ დახარჯეს. ეს ხომ ილუზიაა, ამდენი ფული გადაიხადო და მხოლოდ ერთი წელი გყავდეს გუნდი. იმ ქალაქის ხელისუფლებს არ ურჩევნიათ თუ ამდენი ფული აქვთ, ადგილობრივი კადრების მომზადებას მოანდომონ? დიდი ფული — ცუდი მაგალითია ფეხბურთელთათვის, რადგან ხშირად ისინი იმაზე მეტს ითხოვენ, ვიდრე ეკუთვნით.

**— ხუთეულს თუ გეგმავთ პირველ ეტაპზე?**

— ვგეგმავდით, მაგრამ ასეთი მსაჯობით ძალზე ძნელი იქნება. მათი გამოისობით უკვე ექვსი ქულა გავკარგეთ.

**— თქვენი ასაკისა და გამოცდილების კაცს ალბათ შეგწევთ ძალა დიდი მიზნის განხორციელებისა.**

— მე ფეხბურთის გარდა აღარაფერი დამრჩა. სხვა არაფერი მახარებს. მინდა მქონდეს კარგი ბაზა, მყავდეს კარგი კონტინგენტი, ავზარდო კარგი ფეხბურთელები, სანამ შემიძლია ჩემი გამოცდილება ახალგაზრდებს გადავცე. ჩემი მიზანია ბრაზილიურ ტექნიკას ტოტალური ფეხბურთის ელემენტები დავუმატო, რაც ჩემის აზრით, იდეალური ფეხბურთის ტოლფასი იქნება. სხვათაშორის, ნოდარ ახალკაცს ჰქონდა „დინამოში" ამგვარი. ყველა ადამიანში არის პოტენცია, მთავარია იგი ბოლომდე გამოიყენო. მე კარგი მემკვიდრეობა დამხვდა ნუგზარ ბოჯგუასგან. სოხუმს ჯერ გუნდი უნდა შევუნარჩუნოთ, სამ-ოთხ წელიწადში კი უკვე დიდი გუნდი უნდა დავაყენოთ და თბილისის „დინამოს" შევეპაექროთ.

## გიორგი გოგიაშვილი: სოხუმის წინაშე ვალში ვარ

გოგიაშვილის შესახებ ასეთი ეპიზოდი მაგონდება. წელს თებერვალში ბაქოში გახლდით მივლინებული სოხუმის „ცხუმთან" და გურჯაანის „ალაზანთან" ერთად ბანიშევსკის საერთაშორისო ტურნირზე. ქალაქში ექსკურსიის დროს ყველა ფეხბურთელმა თავისი ფია გაახარა, ყველაზე ბოლოს კი გოგიაშვილი გამოჩნდა, გაბრწყინებული თვალებით. „ქარწაღებულნი" ეყიდა უკანასკნელი ფულით და სიხარულს ვერ მალავდა. რადგან თავადაც წიგნების დიდი მოტრფიალე ვარ, გამეხარდა მისი საქციელი, მითუმეტეს ფეხბურთელთა უმრავლესობა ვერ დაიკვეხნის წიგნის სიყვარულს. გიორგიმ დანანებით აღნიშნა — აფხაზებმა ლესელიძეში სახლი რომ დამიწვეს, ყველაზე მეტად ჩემი უნიკალური ბიბლიოთეკა დამენანა, ახლა ხელახლა უნდა დავიწყო წიგნების შეგროვებაო. ბიჭებისაგან გავიგე, რომ გიორგის ყველაზე მეტად დიუმას შემოქმედება ჰყვარებია და დავპირდი, როგორც კი იმ ფეხბურთს ითამაშებ, შენ რომ გეკადრება (გოგიაშვილს ჯერ კიდევ გაგრაში თამაშიდან ვიცნობ), დიუმას მრავალტომეულს გაჩუქებ-მეთქი.

წელს „ცხუმი" ყველა წამყვანმა მოთამაშემ დატოვა, მხოლოდ გოგიაშვილი დარჩა გუნდში და როცა ოჩამჩირის „ამირანთან" მისი თამაში ვნახე (იგი უკვე კაპიტნის სამკლაურით გამოდიოდა), მივხვდი, რომ გიორგი უკვე გუნდის ლიდერი იყო და დანაპირები უნდა ამესრულებინა. მართლაც, მეორე დღესვე სოხუმში წიგნების მაღაზიაში დიუმას ოთხტომეულს წავაწყდი და ფული არ დამნანებია მის შესაძენად...

— დიდი მადლობა, ახლახანს სოხუმში ახალი ბინა მივიღე და შენი საჩუქარიც იქ დაიდებს ბინას.

**— სხვათა მსგავსად, შენც რატომ არ დატოვე „ცხუმი"?**

— რა დასამალია და ბევრი კლუბი მეპატიჟებოდა, მაგრამ სოხუმი მაინც არ დავტოვე. მე იარაღით ხელში არ მიბრძოლია ამ ქალაქის დასაცავად და ვალში ვიყავი სოხუმელთა წინაშე. ჩემს ვალს კი მწვანე მინდორზე გამოვისყიდი, იმ საქმეში, რომელიც ყველაზე მეტად მეხერხება.

**— 9 აგვისტოს პირველი მატჩი ითამაშეთ „ივერიასთან", 14-ში კი ომი დაიწყო და პირველი ყუმბარები სწორედ იმ სასტუმროს წინ და სწორედ იმ სკამთან დაეცა, სადაც მოთამაშეები იკრიბებოდით ხოლმე საათობით...**

— ბედად არ ვიმყოფებოდით სოხუმში, თორემ უეჭველად იმ სკამზე იჯდებოდა ნახევარი გუნდი. 13 აგვისტოს შინ გაგვიშვეს და გრიშა ცაავამ გაგრელები — მე, ჩიხრაძე, მინდაძე და პაპავა მანქანით ჩემთან წაგვიყვანა ლესელიძეში. დილას გრიშა გაგრაში გაემგზავრა, შუადღისას კი ომის დაწყება გვამცნეს. მთელი ლესელიძე ადგა, ზოგს თოფი ჰქონდა, ზოგს კიდევ რა. აფხაზი სნაიპერის ხელით ორი ბიჭი დაიღუპა, ერთი დაჭრილი მხედრიონელი ჩემი ხელით წავიყვანე საავადმყოფოში.

**— ფეხბურთის თამაშიც ლესელიძეში დაიწყე?**



გიორგი გოგიაშვილი

— ჩემს ფეხბურთელობას მამაჩემს უნდა ვუმადლოდე. მან მიმიყვანა ფეხბურთზე გია მორგოშიასთან. ჩემს ოჯახში „ბუდე" ჰქონდათ ფეხბურთის გულშემატკივრებს, ნებისმიერ მატჩი ჩემთან უყურებდნენ. მეცხრე კლასში კი ცხონებულმა ომარ წოწორიამ მიმიწვია გაგრაში. სხვა არავინ მინახავს ფეხბურთზე ეგრე შეყვარებული. გუნდში ვიყავით ქართველები: მე, მოსიავა, კვარაცხელია, დარჯანია, აფხაზი თარბა, რუსი ჩეკუნოვი, სომეხი ბოსტანჯანი. ყველას გაგრელები გვერქვა, არავინ ფიქრობდა ეროვნებაზე. 89-ში ომარ მასწავლებელი გარდაიცვალა და გიორგი კვარაცხელია ავირჩიეთ მთავარ მწვრთნელად. გიორგის გაგრის ყველაზე სიმპათიურ მამაკაცს ვეძახდით, ახლა ვნახე, ვეღარ ვიცანი წვეროსანი. მისი დედ-მამა, ყველასათვის საყვარელი ხალხი, აფხაზებმა დახვრიტეს და დაწვეს...

**— გაგრაში ნათამაშევი პირველივე სეზონის შემდეგ ბატონმა გიგა ნორაკიძემ მიგიწვია „ცხუმში"...**

— გაგრაში კვარაცხელიამ ნახევარდაცვიდან წინ დამწია, და მეც 24 გოლი გავიტანე. სხვათაშორის, რამდენჯერაც შენ ჩემზე დაწერე სტატია, მუდამ დამაკელი გოლები. მაშინ 24-ის ნაცვლად 22 დაწერე. მესამე ჩემპიონატში 17 გავიტანე, 16 გეწერა. ბაქოში, ბანიშევსკის ტურნირზე კი რვა გოლის ნაცვლად — შვიდი. ბატონმა გიგამ ისევ ნახევარდაცვაში დამწია და ჩემმა შედეგიანობამაც იკლო, ქოიავას და ბოჯგუას დროს კი კვლავ წინ ვთამაშობდი და ბევრი გამქონდა.

**— ახლა „ცხუმში" კვლავ შუახაზზე თამაშობ, მაგრამ გუნდის საუკეთესო ბომბარდირი მაინც ხარ...**

— მოხდა ისე, რომ 22 წლის კაცი ყველაზე ხნიერი აღმოვჩნდი გუნდში, გამოცდილებაც მეტი მაქვს, ალბათ ამით აიხსნება ჩემი შედეგიანობა.

**— შენ ნიკა ამირეჯიბის ხელში გახდი გუნდის ლიდერი და კაპიტანი...**

— როცა ჩვენს მატჩებზე დაგინახე, მივხვდი, ჩემგან ინტერვიუ რომ უნდა აგეღო და ბატონ ნიკაზე უსათუოდ მკითხავდი. მას შემდეგ ვფიქრობდი, რა მელაპარაკა ამ კაცზე, მაგრამ თავი ვერ მოვაბი, იმდენად მინდა მასზე კარგის თქმა. ძალიან გაუმართლა „ცხუმს", ნიკა ამირეჯიბი რომაა მისი მწვრთნელი. ორი სეზონიც და მესამე სეზონში „ცხუმი" ძალიან ძლიერი გუნდი იქნება, თუ ბატონი ნიკა გუნდში დარჩა.

**— გურამ გაბესკირია?**

— გურამი მეორე მამასავითაა. ბინაც მომცა სოხუმში, სადაც შენი ნაჩუქარი წიგნებით დავიწყებ ჩემი ბიბლიოთეკის აღდგენას. ჩემი ერთადერთი მიზანია დედ-მამა და უმცროსი დაიკო მყავდნენ კარგად. მე ახლა მათთვის ვთამაშობ ფეხბურთს, მათთვის და სოხუმისთვის...

**— ბინა კი გაქვს სოხუმში, მაგრამ თუ ღმერთმა ჰქნა და ისევ ალსდგა მშვიდობა, დაბრუნდები ლესელიძეში?**

— ჩემი დამწვარი სახლი ყველაფერს მირჩევნია, ოღონდ ერთია, ჩემს მეზობელ სომხებთან და აფხაზებთან აღარასოდეს ვიმეგობრებ, მათ ხელებზე ჩემი მეგობრების სისხლია. შურისძიებას კი არ დავიწყებ, იცხოვრონ მათაც ჩვენს გვერდით, ღმერთი ყველას განსჯის...

**მამუკა კვარაცხელია**

სოხუმი.

ავტორის ფოტოები

# სამხრეთ ამერიკა

ამ რეგიონიდან კიდევ ორი
ფინალისტი კვირას გამოვლინდება

**B ჯგუფი**
**ვენესუელა — ეკვადორი 2:1**
**ურუგვაი — ბოლივია 2:1**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | 7 | 4 | 2 | 1 | 18-4 | 10 |
| ბოლივია | 7 | 5 | 0 | 2 | 21-10 | 10 |
| ურუგვაი | 7 | 4 | 2 | 1 | 10-5 | 10 |
| ეკვადორი | 7 | 1 | 2 | 4 | 6-6 | 4 |
| ვენესუელა | 8 | 1 | 0 | 7 | 4-34 | 2 |

კვირას სან-კრისტობალში ერთმა მაჩანჩალამ მეორეს მოუგო. ვენესუელამ ბოლო ოთხი სეზონის განმავლობაში პირველად გაიმარჯვა საერთაშორისო მატჩებში.

ურუგვაი — ბოლივიის შეხვედრაში მთავარი მოქმედი პირი კოლუმბიელი მსაჯი არმანდო ხოიასი იყო. თამაში ახალი დაწყებული იყო, რომ ურუგვაელი კარლოს აგილერა მეტოქეთა შეუხებლად საჯარიმო მოედნის გარეთ წაიქცა, მსაჯმა კი დანიშნა პენალტი, რომელიც ენცო ფრანჩესკოლიმ შეაგდო. მალე მასპინძლთა მეკარემ უხეიროდ მოიგერია ერვინ სანჩესის მიერ საჯარიმოდან დარტყმული ბურთი, ვილიამ რამოლამ დაამატა და ანგარიში გაათანაბრა. ტაიმის ბოლოს ისევ ხოიასმა ისახელა თავი. ბოლივიელთა პროტესტის მიუხედავად, მან სათამაშო დროს 6 წუთი წაამატა და დანიელ ფონსეკამაც შეაგდო მეორე გოლი.

ბოლო ტურის წინ სიტუაცია ერთობ დაიძაბა. კვირას ბრაზილია მასპინძლობს ურუგვაის, ეკვადორი კი — ბოლივიას. თუ ბოლივია სტუმრად არ წააგებს, აშშ-ის საგზური ჯიბეში ედება. ბრაზილია — ურუგვაის გამარჯვებულიც გავა ფინალურ ეტაპზე, თუმცაკი ბრაზილიას ფრეც ხელს აძლევს.

# ტაპიმ უკან დაიხია

„სარბიელის" წინა ნომერში გაუწყებდით, რომ ბერნის სასამართლომ მხარი დაუჭირა მარსელის „ოლიმპიკის" სარჩელს უეფა-ს წინააღმდეგ და შეაჩერა ამ ორგანიზაციის განაჩენი ფრანგული კლუბის ჩემპიონთა თასის გათამაშებიდან გაძევების თაობაზე. სასამართლოს ეს გადაწყვეტილება მარტივ ლოგიკას ეფუძნებოდა. უეფა შვეიცარიაში მდებარეობს და შესაბამისად მას არა აქვს უფლება, ყურად არ იღოს ამ სახელმწიფოს კანონები, რომელთა თანახმად, ევროპული ფეხბურთის ხელმძღვანელებმა „მარსელი" უსამართლოდ დასაჯეს.

ამ ცნობამ გაახარა ფრანგი გულშემატკივრები, რომლებიც მარსილის „ველოდრომზე" შეიკრიბნენ და კლუბის პრეზიდენტს ბერნარ ტაპის, სახელდახელოდ მოწყობილ ფიცარნაგზე გამოჩენისთანავე, ოვაცია გაუმართეს.

— მე არც გადადგომას ვაპირებ და არც რომელიმე ფეხბურთელის გაყიდვას — განაცხადა ტაპიმ, რომელსაც რამდენიმე დღით ადრე „ლიბერასიონისთვის"მიცემულ ინტერვიუში ნათქვამი ჰქონდა, თუ კლუბი დაგვიჩაგრეს გადავდგებიო.

მარსელელთა ზეიმი ნაადრევი გამოდგა. მრისხანე ფიფა-ს წესდებაში უწერია, რომ მისი „საფეხბურთო განაჩენის" სამოქალაქო სასამართლოში გასაჩივრება აკრძალულია. ამ წესის თანახმად მთელ ფრანგულ ფეხბურთს საერთაშორისო შეჯიბრებებისგან ჩამოშორება ემუქრებოდა.

„სარჩელს სასამართლოდან ცოცხალი თავით არ გამოვიტან" — ამბობდა ტაპი. „საფრანგეთს უკანასკნელი შანსი აქვს" — აცხადებდნენ ფიფა-სა და უეფა-ს ხელმძღვანელები. ყველაზე საცოდავ დღეში, ფრანგული ფედერაციის პრეზიდენტი ჟან ფურნიე-ფაიარი იყო, რომელიც შეფებს ციურიხში უნდა სწვეოდა გარკვეული პასუხით.

10 სექტემბერს პრობლემა გადაწყდა. ტაპიმ საჩივარი უკან წაიღო. როგორც „ოლიმპიკის" ვიცე-პრეზიდენტმა ჟანლუი ლევრომ თქვა, მისმა პრეზიდენტმა ეს გადაწყვეტილება ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციასთან მრავალი კონსულტაციის შედეგად მიიღო.



ფრანკ სოზე ჩემპიონთა თასით

# ინგლისი

„ჩელსიმ" უმასპინძლა „მანჩესტერ იუნაიტედს". ერთადერთი გოლი მასპინძელმა პიკოკმა გაიტანა. „მანჩესტერი" ძალღონეს არ იშურებდა ანგარიშის გასაქვითად. ყველაზე მეტად ერიკ კანტონა აქტიურობდა, მაგრამ ყველაზე მეტი რაც შეძლო, ცარიელ კარში ბურთის აცილება იყო — 1:0. „არსენალმა" ოთხი უპასუხო გოლი შეუგდო „იფსვიჩს". ამ შეხვედრაში იან რაიტის გატანილი ბურთის შემდეგ, კევინ კემპბელმა ჰეტთრიკი შეასრულა — 4:0. „მანჩესტერ სიტიმ" ახალი მწვრთნელის ბრაიან ჰორთონის ხელმძღვანელობით სძლია „ქუინზ პარკ რეინჯერსს" — 3:0. „შეფილდ იუნაიტედმა" „ტოტენჰემ ჰოთსპურს" უმასპინძლა. „სპურები" 2:0 იგებდნენ, თუმცა საბოლოოდ ფრეს დასჯერდნენ — 2:2.

დანარჩენი შეხვედრები: „ვესტ ჰემ იუნაიტედი" — „სვინდონი" 0:0, „ასტონ ვილა" — „კოვენტრი სიტი" 0:0, „ნორვიჩ სიტი" — „უიმბლდონი" 0:1, „ოლდჰემი" — „ევერტონი" 0:1, „საუთჰემპტონი" — „ლიდს იუნაიტედი" 0:2, „ლივერპული" — „ბლეკბერნი" 0:1. ტურის ბოლო შეხვედრა „ნიუკასლი" — „შეფილდ უენსდეი" ნუხელ უნდა გამართულიყო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩეს. იუნ (1) | 7 | 5 | 1 | 1 | 14-4 | 16 |
| არსენალი (10) | 7 | 5 | 1 | 1 | 11-5 | 16 |
| ბლეკბერნი (4) | 7 | 4 | 2 | 1 | 10-6 | 14 |
| კოვენტრი (15) | 7 | 3 | 4 | 0 | 11-6 | 13 |
| ლივერპული (6) | 7 | 4 | 0 | 3 | 13-5 | 12 |
| ასტონ ვილა (2) | 7 | 3 | 3 | 1 | 9-5 | 12 |
| უიმბლდონი (12) | 7 | 3 | 3 | 1 | 9-6 | 12 |
| ევერტონი (13) | 7 | 4 | 0 | 3 | 8-6 | 12 |
| ნორვიჩი (3) | 7 | 3 | 2 | 2 | 11-8 | 11 |
| ტოტენჰემი (8) | 7 | 3 | 2 | 2 | 7-6 | 11 |
| იფსვიჩი (16) | 7 | 3 | 2 | 2 | 7-7 | 11 |
| ლიდსი (17) | 7 | 3 | 1 | 3 | 6-9 | 10 |
| ჩელსი (11) | 7 | 2 | 3 | 2 | 7-6 | 9 |
| ქუინზ პარკი (5) | 7 | 3 | 0 | 4 | 10-14 | 9 |
| მანჩ. სიტი (9) | 7 | 2 | 2 | 3 | 8-7 | 8 |
| შეფ. იუნაიტ (14) | 7 | 2 | 2 | 3 | 11-14 | 8 |
| ნიუკასლი (დ) | 6 | 1 | 3 | 2 | 5-6 | 6 |
| ოლდჰემი (19) | 7 | 1 | 2 | 4 | 5-10 | 5 |
| ვესტ ჰემი (დ) | 7 | 1 | 2 | 4 | 3-11 | 5 |
| საუთჰემპტ. (18) | 7 | 1 | 0 | 6 | 7-12 | 3 |
| შეფ. უენ (7) | 6 | 0 | 3 | 3 | 4-9 | 3 |
| სვინდონი (დ) | 7 | 0 | 2 | 5 | 3-17 | 2 |

# შოტლანდია

„მოზერუელმა" უმასპინძლა „ჰართსს", რომელიც ამ შეხვედრამდე მეორე ადგილზე იყო და მხოლოდ გატანილი ბურთებით ჩამორჩებოდა მასპინძელს. პირველი ტაიმი გუნდებმა უგოლოდ დაასრულეს. დაიწყო თუ არა მეორე ნახევარი, მასპინძელმა ფილ ოძდონელმა, რომელმაც გასულ ოთხშაბათს ნაკრების შემადგენლობაში ითამაშა, პირველი გოლი შეაგდო. ორამდე ანგარიში პოლ მაკგრილენმა გაზარდა, რომელსაც მეტოქეებს, სმიტსა და მაკკენეს შორის ისეთ პოზიციაში მიუვიდა ბურთი, რომ დიდი ჯაფა არ დასდგომია — 2:0. „დანდი იუნაიტედმა" დაამარცხა „დანდი" 1:0. გოლი პირველ ტაიმში მაკლარენმა გაიტანა. „ჰიბერნიანის" მოთამაშეების მაკ ალისტერის და რაიტის გოლებს „აბერდინმა" ერთი დაუპირისპირა — 2:1. „რეით როვერსმა" შინ წააგო „სელტიკთან". მე-10 და 27-ე წუთებზე ჩარლი ნიკოლსმა, ხოლო 66-ე და 89-ზე მეორე ტაიმში შემოსულმა ენდი პეიტენმა გამოიჩინა თავი. მასპინძელთაგან ბურთი, როდესაც ანგარიში 0:3 იყო, სტივ კრუფერდმა შეაგდო. „რეინჯერსელმა" მარკ ჰეიკლიმ „პარტიკთან" ვერ გამოიყენა პენალტი. საბოლოოდ — ფრე 1:1. „კილმარნოკი" — „სენტ ჯონსტონი" 0:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მოზერუელი (9) | 6 | 4 | 1 | 1 | 11-7 | 9 |
| დანდი იუნ. (4) | 6 | 2 | 4 | 0 | 6-4 | 8 |
| სელტიკი (3) | 6 | 2 | 3 | 1 | 8-5 | 7 |
| ჰიბერნიანი (7) | 6 | 2 | 3 | 1 | 6-4 | 7 |
| რეინჯერსი (1) | 6 | 2 | 3 | 1 | 7-6 | 7 |
| აბერდინი (2) | 6 | 3 | 1 | 2 | 5-4 | 7 |
| ჰართსი (5) | 6 | 3 | 1 | 2 | 5-5 | 7 |
| ს. ჯონსტონი (6) | 6 | 1 | 4 | 1 | 6-4 | 6 |
| კლიმარნოკი (დ) | 6 | 2 | 2 | 2 | 4-4 | 6 |
| პარტიკი (8) | 6 | 0 | 3 | 3 | 5-8 | 3 |
| რ. როვერსი (დ) | 6 | 0 | 3 | 3 | 6-13 | 3 |
| დანდი (10) | 6 | 0 | 2 | 4 | 3-8 | 2 |

# იტალიური ლეგიონი

იტალიის ჩემპიონატს მსოფლიოში უძლიერესს უწოდებენ იმის გამო, რომ მასში მთელი მსოფლიოს თითქმის ყველა უძლიერესი ფეხბურთელია თავმოყრილი. წლეულს ლეგიონერთა რიცხვი ცოტათი შემცირდა და ახლა სერია A-ს კლუბებს განაცხადში 61 უცხოელი ჰყავთ. რა თქმა უნდა, უმრავლესობა წინა ხაზის მოთამაშეა (50), თუმცა ამ სიაში ერთ მეკარესაც (ტაფარელი) კი ნახავთ. გთავაზობთ წლევანდელ სეზონში იტალიურ კლუბებში მოთამაშე უცხოელთა სიას.



„ინტერის" ჰოლანდიელები: ვიმ იონკი და დენის ბერხკამპი

**ატალანტა:** ალემაო (ბრაზილია), პაოლო მონტერო (ურუგვაი), ფრანკ სოზე (საფრანგეთი), ლეონარდო როდრიგესი (არგენტინა).

**ინტერი:** რუბენ სოსა (ურუგვაი), დარკო პანჩევი (მაკედონია), იგორ შალიმოვი (რუსეთი), ვიმ იონკი (ჰოლანდია), დენის ბერხკამპი (ჰოლანდია).

**იუვენტუსი:** ჟულიო სეზარი (ბრაზილია), ანდრეას მიოლერი (გერმანია), იურგენ კოლერი (გერმანია).

**კალიარი:** ლუის ოლივეირა (ბელგია), ხოსე ერერა (ურუგვაი), მარკოს ტეხერა (ურუგვაი), დელი ვალდესი (პანამა).

**კრემონეზე:** გუსტავო დესოტი (არგენტინა), მატიაზ ფლორიანჩიჩი (სლოვენია).

**ლაციო:** პოლ გესკოინი (ინგლისი), არონ ვინტერი (ჰოლანდია), ტომას დოლი (გერმანია), რობერტო დი მატეო (შვეიცარია).

**ლეჩე:** ქერსონი (ბრაზილია), ტოფოლი (ბრაზილია), ელბერი (ბრაზილია), ზორან ბანი (ხორვატია).

**მილანი:** მარკო ვან ბასტენი (ჰოლანდია), ჟან-პიერ პაპენი (საფრანგეთი), დეან სავიჩევიჩი (იუგოსლავია), ზვონიმირ ბობანი (ხორვატია), ბრიან ლაუდრუპი (დანია), ფლორინ რადუჩოუ (რუმინეთი).

**ნაპოლი:** დანიელ ფონსეკა (ურუგვაი), იონას ტერნი (შვედეთი).

**პარმა:** ტომას ბროლინი (შვედეთი), ფაუსტინო ასპრილია (კოლუმბია), ჟორჟ გრუნი (ბელგია), სერჯო ბერტი (არგენტინა).

**პიაჩენცა:** უცხოელი არა ჰყავს.

**რეჯანა:** კლაუდიო ტაფარელი (ბრაზილია), ჯონი ექსტრიომი (შვედეთი).

**რომა:** ალდაირი (ბრაზილია), თომას ჰესლერი (გერმანია), სინიშა მიხაილოვიჩი (იუგოსლავია), კლაუდიო კანიჯა (არგენტინა), აბელ ბალბო (არგენტინა).

**სამპდორია:** სრეჩკო კატანეცი (ხორვატია), დევიდ პლატი (ინგლისი), ვლადიმირ იუგოვიჩი (იუგოსლავია), რუუდ გულიტი (ჰოლანდია).

**„ტორინო":** კარლოს აგილერა (ურუგვაი), ენცო ფრანჩესკოლი (ურუგვაი), მარსელო სარალეგი (ურუგვაი), რობერტ იარნი (ხორვატია).

**უდინეზე:** მარეკ კოზმინსკი (პოლონეთი), რობერტო სენსინი (არგენტინა).

**ფოჯა:** იგორ კოლივანოვი (რუსეთი), ბრაიან როი (ჰოლანდია), ხოსე ჩამოტი (არგენტინა).

**ჯენოა:** ტომაშ სკუჰრავი (ჩეხეთი), დან პეტრესკუ (რუმინეთი). მარსიანო ფინკი (ჰოლანდია).

# იტალია

IV ტური. კალიარი — ინტერი 1:0, კრემონეზე — ლაციო 1:0, ფოჯა — იუვენტუსი 1:1, მილანი — ატალანტა 2:0, პარმა — ჯენოა 2:1, რეჯანა — პიაჩენცა 1:1, რომა — ნაპოლი 2:3, სამპდორია — ლეჩე 2:1, ტორინო — უდინეზე 1:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორინო (9) | 4 | 3 | 1 | 0 | 6-1 | 7 |
| მილანი (1) | 4 | 3 | 1 | 0 | 4-0 | 7 |
| პარმა (3) | 4 | 3 | 0 | 1 | 5-3 | 6 |
| სამპდორია (7) | 4 | 3 | 0 | 1 | 7-6 | 6 |
| იუვენტუსი (4) | 4 | 2 | 1 | 1 | 6-4 | 5 |
| ფოჯა (12) | 4 | 1 | 3 | 0 | 4-2 | 5 |
| ინტერი(2) | 4 | 2 | 1 | 1 | 5-4 | 5 |
| ატალანტა (8) | 4 | 2 | 0 | 2 | 8-7 | 4 |
| კრემონეზე (დ) | 4 | 2 | 0 | 2 | 4-3 | 4 |
| ლაციო (5) | 4 | 1 | 2 | 1 | 2-2 | 4 |
| ჯენოა (13) | 4 | 1 | 1 | 2 | 4-4 | 3 |
| უდინეზე (14) | 4 | 1 | 1 | 2 | 2-3 | 3 |
| კალიარი (6) | 4 | 1 | 1 | 2 | 5-8 | 3 |
| რომა (10) | 4 | 1 | 1 | 2 | 4-6 | 3 |
| ნაპოლი (11) | 4 | 1 | 1 | 2 | 4-6 | 3 |
| რეჯანა (დ) | 4 | 0 | 2 | 2 | 3-5 | 2 |
| პიაჩენცა (დ) | 4 | 0 | 2 | 2 | 2-6 | 2 |
| ლეჩე (დ) | 4 | 0 | 0 | 4 | 1-6 | 0 |

# საფრანგეთი

VIII ტური. ნანტი — სტრასბური 2:2 (სიასია 26, ნდორამი 82; პიუზი 77, პ აშეკი 86), მონაკო — ლილი 1:0 (ჯორკაეფი 15 პ), ტულუზა — მარსელი 0:0 , სენტ ეტიენი — სოშო 0:0, კანი — ანჟერი 4:3 (პრიო 8, 18, დიური 64, მიკო 72; ლაგრანჟი 41, 69, ელ ჰადაუი 48 პ), ბორდო — მეცი 2:0 (ლისარასუ 50, დოგონი 90), პარი სენ-ჟერმენი — მონპელიე 1:0 (რაი 55), ლანი — ლიონი 2:0 (დეუ 79, პერონი 86), მარტიგი — ოსერი 0:1 (მარტინსი, 47), ლე ავრი — კაენი 1:2 (მორო 80; დედება 15, ნოუმა 35)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბორდო (4) | 8 | 5 | 2 | 1 | 12-3 | 12 |
| კანი (დ) | 8 | 4 | 4 | 0 | 14-10 | 13 |
| მონაკო (3) | 8 | 4 | 2 | 2 | 11-6 | 10 |
| პსჟ (2) | 8 | 4 | 2 | 2 | 9-6 | 10 |
| მარსელი (1) | 8 | 3 | 4 | 1 | 7-4 | 10 |
| ნანტი (5) | 8 | 3 | 4 | 1 | 7-4 | 10 |
| სოშო (16) | 8 | 3 | 3 | 2 | 9-6 | 9 |
| ოსერი (6) | 8 | 3 | 3 | 2 | 8-6 | 9 |
| სტრასბური (8) | 8 | 1 | 7 | 0 | 9-8 | 9 |
| მარტიგი (დ) | 8 | 2 | 4 | 2 | 10-7 | 8 |
| ლიონი (14) | 8 | 3 | 2 | 3 | 9-9 | 8 |
| კაენი (11) | 8 | 3 | 2 | 3 | 7-11 | 8 |
| მეცი (12) | 8 | 2 | 3 | 3 | 7-9 | 7 |
| ლანი (9) | 8 | 2 | 2 | 4 | 5-6 | 6 |
| სენტ ეტიენი (7) | 8 | 1 | 4 | 3 | 6-8 | 6 |
| ანჟერი (დ) | 8 | 2 | 2 | 4 | 10-15 | 6 |
| მონპელიე (10) | 8 | 2 | 2 | 4 | 6-11 | 6 |
| ლილი (17) | 8 | 0 | 5 | 3 | 6-9 | 5 |
| ტულუზა (13) | 8 | 0 | 5 | 3 | 3-11 | 5 |
| ლე ავრი (15) | 8 | 0 | 4 | 4 | 5-11 | 4 |

ირლანდიის ნაკრებს შვიდი წელია, რაც სათავეში უდგას წარსულში ცნობილი ინგლისელი ფეხბურთელი ჯეკ ჩარლტონი. მისი წარმატება თვალსაჩინოა. ჯგუფში, სადაც ესპანეთის და დანიის გუნდები გამოდიან, ირლანდიელებს მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის მშვენიერი შანსი აქვთ. გასულ ოთხშაბათს, ჯონ ოლდრიჯის მიერ ლიტველთა კარში გატანილი გოლი მეასეა, მას შემდეგ, რაც ნაკრებს ჩარლტონი წვრთნის.

**არგენტინისა** და ავსტრალიის ფეხბურთის ფედერაციებმა გადაწყვიტეს, რომ მათი ქვეყნების ნაკრები გუნდები, აშშ-ს საგზურს, თავიდან, 31 ოქტომბერს სიდნეიში, შემდეგ კი 14-დან 17 ნოემბრამდე, რომელიმე დღეს ბუენოს-აირესში შეეცილებიან ერთმანეთს.

**არგენტინაში** დაბრუნდა დიეგო მარადონა. როგორც „სარბიელი" იუწყებოდა, მან როსარიოს „ნიუელს ოლდ ბოიზთან" დადო ხელშეკრულება. დიეგოს პირადმა აგენტმა მარკოს ფრანკიმ განაცხადა, რომ დედაქალაქიდან 300 კილომეტრით დაშორებული ქალაქის გუნდთან დადებული კონტრაქტი ერთწლიანია. კლუბის წარმომადგენელმა კი თქვა, რომ მათ ვაჭრობა 4 მილიონი დოლარი დაუჯდათ. თავად დიეგო თვეში 25 ათასს მიიღებს.

# ფეხბურთის რუკასთან

**ჩრდილოეთ ირლანდიის** ჩემპიონატის მორიგ ტურში თბილისის „დინამოს" ყოფილი მეტოქე „ლინფილდი" შინ დამარცხდა „კლიფტონვილთან" — 0:1. სხვა მატჩები ასე დამთავრდა: ბალიკლარი — ბანგორი 1:6, კარიკ რეინჯერსი — გლენავონი 1:5, კოლრეინი — კრუზეიდერსი 1:4, ლარნი — გლენტორანი 0:4, ნიური— არდსი 0:0, ოლმაგ თაუნი — დისტილერი 0:3, ჰორტდაუნი — ბალიმენა 5:1.

**ჰოლანდიის** ჩემპიონატში „აიაქსი" დაწინაურდა. მეშვიდე ტურში ამსტერდამელებმა შინ „როდა" დაამარცხეს — 2:0. გოლები ფინელმა იარი ლიტმანენმა გაიტანა. სხვა მატჩები: ფეიენოორდი — გრონინგენი 4:0, ვილემ II — კამბური 4:1, ჰერენვენი — ვენლო 1:0, მაასტრიხტი — უტრეხტი 2:1, სპარტა — პსვ 0:0, გოუ ეჰედი — ტვენტე 3:3, ვოლენდამი — ბრედა 1:3, ვიტესი — ვაალვიკი 4:1.

**ბელგიის** ჩემპიონმა „ანდერლეხტმა" მეშვიდე ტურში პირველი ქულა დაკარგა შინ „მეხელენთან". — 1:1, მაგრამ მაინც ლიდერობს. სხვა მატჩები: ლომელი — ბევერენი 2:0, ლიერსი — ბრიუგე 1:1, ანტვერპენი — სერენი 2:1, სტანდარდი — ეკერენი 3:0, ვარეგემი — ლიეჟი 2:1, სერკლ ბრიუგე — გენკი 1:1, გენტი — მოლენბეკი 1:1, ოსტენდე — შარლერუა 1:0.

**ლუქსემბურგის** ჩემპიონატის მესამე ტური: ჟენესი — ავენირი 2:0, რედ ბოიზი — არისი 1:1, F-91 — პეტანჟი 4:2, სპორა — ფოლა 1:0. ერთი მატჩი გადაიდო. 4-4 ქულით ლიდერობენ „ჟენესი", „ავენირი", F-91 და „გრევენმახერი", რომელსაც ამ ტურში არ უთამაშია.

**გერმანიაში** თასის გათამაშების პირველი ეტაპი გაიმართა. გთავაზობთ ზოგიერთი შეხვედრის შედეგს: ბაიერნი (მოყვარულები) — კიოლნი 0:0 (5:4 პენალტებით), მიონხენგლადბახი — კარლსრუე 5:3 (დ.დ.), აინტრახტი (ბაიერი) — კაიზერსლაუტერნი 1:3 (დ.დ.), ფრაიბურგი — აინტრახტი (ფრანკფურტი) 5:3 (დ.დ.), ზაარბრიუკენი — ჰამბურგი 2:4.

# ნახევარი მილიონი მოგებისთვის

მეოთხე წრეში ჯიმ კურიესა და ბორის ბეკერის მოულოდნელი მარცხის შემდეგ კიეველი ანდრეი მედვედევის შანსი ერთიორად გაიზარდა. მისი ბოლოდროინდელი შთამბეჭდავი გამარჯვებების გათვალისწინებით, სპეციალისტთა უმეტესობა თვლიდა, რომ სწორედ 19 წლის კიეველი ჩოგბურთელი იქნებოდა ფინალში პიტ სამპრასის მეტოქე. მაგრამ ისე მოხდა, რომ მსოფლიოს მერვე „ჩოგანმა" ნახევარფინალამდეც ვერ მიაღწია. ამის მიზეზი კი კლასიფიკაციაში მედვედევზე შვიდი საფეხურით დაბლა მდგომი ფრანგი სედრიკ პიოლინი გახდა. სწორედ ის, ვინც მანამდე უძლიერესთა სიაში პირველ ნომერს, ამერიკელ კურიეს გადაუღობა გზა. 24 წლის ფრანგის ასეთ აღზევებას არავინ მოელოდა, მით უფრო, რომ „დიდი სლემის" ტურნირებში მას ამ დონემდე არასოდეს მიუღწევია.

თუმცა, შეიძლება ისიც ითქვას, რომ ორთაბრძოლა უფრო მედვედევმა წააგო, ვიდრე პიოლინმა მოიგო. კიეველი საოცრად ინერტულად მოქმედებდა კორტზე და უამრავ მარტივ შეცდომასაც უშვებდა.

ყველაფერი ძალზე სწრაფად, სულ ორსაათნახევარში დასრულდა — 6:3, 6:1, 3:6, 6:2 პიოლინის სასარგებლოდ. ნახევარფინალში მისი მეტოქე გახდა ავსტრალიელი უელი მაზური, რომელმაც უფრო იოლი გამარჯვება მოიპოვა ბეკერის მძლეველ შვედ მაგნუს ლარსონთან შეხვედრაში — 6:2. 7:5, 7:5.

როგორც მოსალოდნელი იყო, ფინალში ამათგან უფრო მაღალრეიტინგიანი პიოლინი გავიდა (მაზური უძლიერესთა სიაში 24-ეა). საინტერესოა, რომ უკანასკნელად ფრანგი ჩოგბურთელი აშშ-ის ღია ჩემპიონატის ფინალში 1932 წელს თამაშობდა. ეს იყო ერთ-ერთი მუშკეტერთაგანი ანრი კოშე, რომელიც ელსვორტ ვაინსთან დამარცხდა. ისე კი ფრანგები სულ სამჯერ იყვნენ „ახალი სამყაროს" ჩემპიონები — ორჯერ რენე ლაკოსტი, ერთხელ კოშე.

ამასობაში კი ქალებმა ბოლომდე გაარკვიეს ურთიერთობა. წინასწარი ვარაუდით ფინალში შტეფი გრაფი და არანტა სანჩესი უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს. ნახევარფინალში გერმანელ ჩოგბურთელს მართალია თავიდან გაუჭირდა, მაგრამ საბოლოოდ მაინც ადვილად დაძლია ბულგარელი შვეიცარიელის მანუელა მალეევა-ფრანიეს წინააღმდეგობა. მეორე ნომრად განთესილი სანჩესი კი მოულოდნელად დამარცხდა ათლეტური აღნაგობის, 191 სმ სიმაღლის ჰელენა სუკოვასთან შეხვედრაში. შეგახსენებთ, რომ ჩეხმა ჩოგბურთელმა მანამდე აშშ-ის ოთხგზის ჩემპიონს მარტინა ნავრატილოვას სძლია.

ფინალური ორთაბრძოლა, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, ნაკლებად საინტერესო გამოდგა. მთელი შეხვედრა გრაფისთვის სასურველი გეგმით მიმდინარეობდა. სუკოვას ძალისმიერ თამაშს გერმანელმა ჩოგბურთელმა სისწრაფე და უზუსტესი კონტრდარტყმები დაუპირისპირა. თითქმის ყოველი ქულის გათამაშებისას იგი ცდილობდა თავისთვის მოსახერხებელი მარჯვენა მხრიდან მისულიყო ბურთთან. მარჯვნიდან დარტყმა კი მისი უმთავრესი იარაღია.

ფსიქოლოგიური ფაქტორიც აშკარად გრაფის მხარეს იყო: მეტოქეები მანამდე ოცჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და ცხრამეტჯერ გამარჯვება შტეფის დარჩა.

ერთი სიტყვით, გრაფის უპირატესობა ნათელი იყო და მატჩის შედეგიც — 6:3, 6:3 სრულად ასახავს ძალთა თანაფარდობას.

საინტერესოა, რომ შარშანდელი ფინალიც იუგოსლაველ მონიკა სელეშსა და არანტა სანჩესს შორის ზუსტად ასეთივე ანგარიშით დასრულდა.

ვერც ვაჟთა ფინალი გამოვიდა საინტერესო. სამპრასის უპირატესობა თავიდანვე აშკარა იყო. პიოლინი ასეთი რანგის მატჩისათვის სამარცხვინო შეცდომებს უშვებდა, რაც შემდგომში ძირითადად ნერვიულობას დააბრალა. თუმცა ამჯერად არც ამერიკელი ბრწყინავდა. ტრიბუნები სულ რამდენჯერმე თუ გამოაცოცხლა ეფექტურად გათამაშებულმა კომბინაციამ. სამპრასს არც დასჭირვებია მთელი თავისი შესაძლებლობების გამოვლენა, ისე დაამარცხა მეტოქე სულ რაღაც 2 საათსა და 4 წუთში — 6:4, 6:4, 6:3.

ეს 22 წლის ამერიკელის მეორე ტრიუმფია თავისი ქვეყნის ჩემპიონატში. სამი წლის წინ, როდესაც მან პირველად მოიგო აშშ-ის პირველობა, მხოლოდ 19 წლისა იყო. მას აქეთ სამპრასი გინესის წიგნშია შესული, როგორც თავისი ქვეყნის ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი.

გრაფმაც და სამპრასმაც გამარჯვებისთვის უზარმაზარი თანხა — 535 ათასი დოლარი მიიღეს. ფინალისტებს ზუსტად ნახევარი ერგოთ.

აღსანიშნავია ისიც, რომ წინასწარი გამოთვლებით, აშშ-ის ღია ჩემპიონატის მოგების შემდეგ სამპრასმა კვლავ დაიბრუნა მსოფლიოს პირველი „ჩოგნის" სახელი.

გია ახალაძე



შტეფი გრაფი

გერმანია

დაიბადა 1969 წლის 14 ივნისს ქალაქ ბრიულში (გფრ)
ცხოვრობს ბრიულში და დელრეი ბიჩში (ფლორიდა, აშშ)
სიმაღლე 176 სმ, წონა 60 კგ
1991 წლის მარტამდე სარეკორდო 186 კვირის მანძილზე მსოფლიოს პირველი „ჩოგანი" იყო
აშშ-ის ღია ჩემპიონატის სამგზის (1988, 89, 93) გამარჯვებული
უიმბლდონის ხუთგზის (1988, 89, 91, 92, 93) გამარჯვებული
საფრანგეთის სამგზის (1987, 88, 93) ჩემპიონი
ავსტრალიის სამგზის (1988, 89, 90) ჩემპიონი
ოლიმპიური ჩემპიონი (1988)
1988 წელს „დიდი სლემის" ოთხივე ტურნირი მოიგო



პიტ სამპრასი

აშშ

დაიბადა 1971 წლის 12 აგვისტოს ვაშინგტონში
ცხოვრობს ბრედენტონში (ფლორიდა, აშშ)
სიმაღლე 182 სმ, წონა 75 კგ
აშშ-ის ღია ჩემპიონატის ორგზის (1990, 93) გამარჯვებული
უიმბლდონის 1993 წლის გამარჯვებული
აშშ-ის ღია ჩემპიონატის ფინალისტი 1992 წელს
აშშ-ის ნაკრების შემადგენლობაში 1990 და 92 წლებში დევისის თასის მფლობელი
წელს ოთხი თვის მანძილზე მსოფლიოს პირველი „ჩოგანი" იყო. „ფლაშინგ მიდოუზე" გამარჯვების შემდეგ პირველობა დაიბრუნა

ნახევარფინალები: შტეფი გრაფი (გერმანია) — მანუელა მალეევა-ფრანიე (შვეიცარია) 4:6, 6:1, 6:0; ჰელენა სუკოვა (ჩეხეთი) — არანტა სანჩესი (ესპანეთი) 6:7, 7:5, 6:2; პიტ სამპრასი (აშშ) — ალექსანდრე ვოლკოვი (რუსეთი) 6:4, 6:3, 6:2; სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი) — უელი მაზური (ავსტრალია) 6:1, 6:7, 7:6, 6:1.
ფინალები: შტეფი გრაფი — ჰელენა სუკოვა 6:3, 6:3; პიტ სამპრასი — სედრიკ პიოლინი 6:4, 6:4, 6:3. ქალთა წყვილები. არანტა სანჩესი, ჰელენა სუკოვა — ამანდა კეტცერი (სარ), ინეს გოროჩატეგი (არგენტინა) 6:4, 6:2; მიქსტი. ჰელენა სუკოვა, ტოდ ვუდბრიჯი (ავსტრალია) — მარტინა ნავრატილოვა (აშშ), მარკ ვუდფორდი (ავსტრალია) 6:3, 7:6; ვაჟთა წყვილები. კენ ფლეჩი, რიკი ლიჩი (ორივე აშშ) — მარტინ დამი, კარელ ნოვაჩეკი (ორივე ჩეხეთი) 7:6, 6:4, 6:2

## ამერიკის ღია ჩემპიონატის გამარჯვებულები ბოლო 25 წლის მანძილზე

| | ქალები | ქალთა წყვილები | მიქსტი | ვაჟთა წყვილები | ვაჟები | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1968 | ვირჯინია უეიდი | მარია ბუენო — მარგარეტ კორტი | მარი ენ ეიზელი — პიტერ კერტისი | ბობ ლუტცი — სტენ სმიტი | არტურ აში | 1968 |
| 1969 | მარგარეტ კორტი | ფრანსუაზ დიური — დარლინ პარდი | მარგარეტ კორტი — მარტი რისენი | კენ როზუოლი — ფრედ სტოული | როდ ლეივერი | 1969 |
| 1970 | მარგარეტ კორტი | მარგარეტ კორტი — ჯუდი დალტონი | მარგარეტ კორტი — მარტი რისენი | პიერ ბარტი — ნიკი პილიჩი | კენ როზუოლი | 1970 |
| 1971 | ბილი ჯინ კინგი | როზმარი კაზალსი — ჯუდი დალტონი | ბილი ჯინ კინგი — ოუენ დევიდსონი | ჯონ ნიუკომბი — როჯერ ტეილორი | სტენ სმიტი | 1971 |
| 1972 | ბილი ჯინ კინგი | ფრანსუაზ დიური — ბეტი სტოუვი | მარგარეტ კორტი — მარტი რისენი | კლიფ დრისდეილი — როჯერ ტეილორი | ილიე ნასტასე | 1972 |
| 1973 | მარგარეტ კორტი | მარგარეტ კორტი — ვირჯინია უეიდი | ბილი ჯინ კინგი — ოუენ დევიდსონი | ოუენ დევიდსონი — ჯონ ნიუკომბი | ჯონ ნიუკომბი | 1973 |
| 1974 | ბილი ჯინ კინგი | როზმარი კაზალსი — ბილი ჯინ კინგი | პემ ტიგარდენი — ჯეფ მასტერსი | ბობ ლუტცი — სტენ სმიტი | ჯიმი კონორსი | 1974 |
| 1975 | ქრის ევერტი | მარგარეტ კორტი — ვირჯინია უეიდი | როზმარი კაზალსი — დიკ სტოკტონი | ჯიმი კონორსი — ილიე ნასტასე | მანუელ ორანტესი | 1975 |
| 1976 | ქრის ევერტი | ლინკი ბოშოფი — ილანა კლოსი | ბილი ჯინ კინგი — ფილ დენტი | მარტი რისენი — ტომ ოკერი | ჯიმი კონორსი | 1976 |
| 1977 | ქრის ევერტი | მარტინა ნავრატილოვა — ბეტი სტოუვი | ბეტი სტოუვი — ფრიუ მაკმილანი | ბობ ჰიუიტი — ფრიუ მაკმილანი | გილერმო ვილასი | 1977 |
| 1978 | ქრის ევერტი | ბილი ჯინ კინგი — მარტინა ნავრატილოვა | ბეტი სტოუვი — ფრიუ მაკმილანი | ბობ ლუტცი — სტენ სმიტი | ჯიმი კონორსი | 1978 |
| 1979 | ტრეისი ოსტინი | ბეტი სტოუვი — ვენდი ტერნბალი | გრირ სტივენსი — ბობ ჰიუიტი | პიტერ ფლემინგი — ჯონ მაკინროუ | ჯონ მაკინროუ | 1979 |
| 1980 | ქრის ევერტი | ბილი ჯინ კინგი — მარტინა ნავრატილოვა | ვენდი ტერნბალი — მარტი რისენი | ბობ ლუტცი — სტენ სმიტი | ჯონ მაკინროუ | 1980 |
| 1981 | ტრეისი ოსტინი | კეტი ჯორდანი — ენ სმიტი | ენ სმიტი — კევინ კარენი | პიტერ ფლემინგი — ჯონ მაკინროუ | ჯონ მაკინროუ | 1981 |
| 1982 | ქრის ევერტი | როზმარი კაზალსი — ვენდი ტერნბალი | ენ სმიტი — კევინ კარენი | კევინ კარენი — სტივ დენტონი | ჯიმი კონორსი | 1982 |
| 1983 | მარტინა ნავრატილოვა | მარტინა ნავრატილოვა — პემ შრაივერი | ელიზაბეტ სეიერსი — ჯონ ფიცჯერალდი | პიტერ ფლემინგი — ჯონ მაკინროუ | ჯიმი კონორსი | 1983 |
| 1984 | მარტინა ნავრატილოვა | მარტინა ნავრატილოვა — პემ შრაივერი | მანუელა მალეევა — ტომ გალიქსონი | ჯონ ფიცჯერალდი — ტომას შმიდი | ჯონ მაკინროუ | 1984 |
| 1985 | ჰანა მანდლიკოვა | კლაუდია კოდე-კილში — ჰელენა სუკოვა | მარტინა ნავრატილოვა — ჰაინც გიუნტჰარდტი | კენ ფლეჩი — რობერტ სეგუსო | ივან ლენდლი | 1985 |
| 1986 | მარტინა ნავრატილოვა | მარტინა ნავრატილოვა — პემ შრაივერი | რაფაელა რეჯი — სერხიო კასალი | ანდრეს გომესი — სლობოდან ჟივოინოვიჩი | ივან ლენდლი | 1986 |
| 1987 | მარტინა ნავრატილოვა | მარტინა ნავრატილოვა — პემ შრაივერი | მარტინა ნავრატილოვა — ემილიო სანჩესი | სტეფან ედბერგი — ანდერს იარიდი | ივან ლენდლი | 1987 |
| 1988 | შტეფი გრაფი | ჯიჯი ფერნანდესი — რობინ უაიტი | იანა ნოვოტნა — ჯიმ პიუ | ემილიო სანჩესი — სერხიო კასალი | მატს ვილანდერი | 1988 |
| 1989 | შტეფი გრაფი | მარტინა ნავრატილოვა — ჰანა მანდლიკოვა | რობინ უაიტი — შელბი კენონი | ჯონ მაკინროუ — მარკ ვუდფორდი | ბორის ბეკერი | 1989 |
| 1990 | გაბრიელა საბატინი | მარტინა ნავრატილოვა — ჯიჯი ფერნანდესი | ელიზაბეტ სმაილი — ტოდ ვუდბრიჯი | პეტერ ოლდრიხი — დენი ფისერი | პიტ სამპრასი | 1990 |
| 1991 | მონიკა სელეში | პემ შრაივერი — ნატალია ზვერევა | მანონ ბოლეგრაფი — ტომ ნიისენი | ჯონ ფიცჯერალდი — ანდერს იარიდი | სტეფან ედბერგი | 1991 |
| 1992 | მონიკა სელეში | ჯიჯი ფერნანდესი — ნატალია ზვერევა | ნიკოლ პროვისი — მარკ ვუდფორდი | ჯიმ გრები — რიჩი რენებერგი | სტეფან ედბერგი | 1992 |
| 1993 | შტეფი გრაფი | არანტა სანჩესი — ჰელენა სუკოვა | ჰელენა სუკოვა — ტოდ ვუდბრიჯი | კენ ფლეჩი — რიკი ლიჩი | პიტ სამპრასი | 1993 |

# ტოტოლოტო
## საფეხბურთო პროგნოზი

ტირაჟი № 27 17-19 სექტემბერი

| | | პროგნოზი | |
|---|---|---|---|
| | გერმანიის ჩემპიონატი | | |
| 1 | ლევერკუზენი — აინტრახტი | 2 4 4 | X 2 |
| 2 | კარლსრუე — ვერდერი | 3 3 4 | 1 X 2 |
| 3 | დუისბურგი — დორტმუნდი | 2 3 5 | X 2 |
| 4 | ფრაიბურგი — კაიზერსლაუტერნი | 3 4 4 | 1 X 2 |
| 5 | ლაიფციგი — ჰამბურგი | 2 3 5 | X 2 |
| | იტალიის ჩემპიონატი | | |
| 6 | მილანი — რომა | 7 2 1 | 1 |
| 7 | პარმა — ტორინო | 6 3 1 | 1 |
| 8 | ლაციო — ინტერი | 3 4 3 | 1 X 2 |
| 9 | ჯენოა — ნაპოლი | 4 4 2 | 1 X |
| 10 | უდინეზე — სამპდორია | 3 4 3 | 1 X 2 |
| | მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი | | |
| 11 | ბრაზილია — ურუგვაი | 7 2 1 | 1 |

შევსებული ბილეთების ჩაბარების ბოლო ვადა: თბილისში — ყოველი კვირის ხუთშაბათი, 17 საათამდე, ცენტრალური ტელეგრაფის შენობაში. ქუთაისში — ალმაშენებლის ქ. № 1, სპორტლოტოს სამმართველოში, ყოველი კვირის ხუთშაბათი. 12 საათამდე. რუსთავში — ყოველი კვირის ოთხშაბათი, 17 საათამდე, ცენტრალურ ფოსტაში. ცნობებისთვის დარეკეთ: 96-32-61

# სარბიელი

# ტოტალიზატორი "CROCO"

### თამაშის წესები:

თამაშში მონაწილე პირის მიზანია გამოიცნოს მატჩის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტი ყოველ შესაძლო შედეგზე. შედეგის გამოცნობის შემთხვევაში მიიღებთ თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩზე ერთდროულად. თუ ფსონი გაკეთებულია ერთდროულად რამდენიმე მატჩის შედეგის გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს შეადგენს.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში და შესაბამისად მატჩის შედეგიც განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფსონები მიიღება მატჩის ანგარიშის გამოცნობაზეც. ამ შემთხვევაში მოგება შეადგენს დადებული თანხის ოთხმაგ რაოდენობას.

ფსონის მინიმალური თანხაა 1000 კუპონი. ფსონების ვარიანტების რაოდენობა და დადებული თანხის სიდიდე არ არის შეზღუდული.

ფსონების მიღება წყდება მატჩის დღეს 16 საათზე. მოგებები გაიცემა მატჩის მეორე დღესვე, ერთი კვირის განმავლობაში.

ფსონები მიიღება: სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს ეროვნული სტადიონის მეხუთე სალაროში 13-დან 16 საათამდე. სასტუმრო „აჭარაში" ფსონების მიღება დროებით შეჩერებულია.

### უახლოესი ფსონები მიიღება შემდეგ თამაშებზე:

| | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 15 სექტემბერი | დინამო კიევი — ბარსელონა | 6,2 | 2,6 | 1,2 |
| | პონვედი — მანჩესტერ იუნაიტედი | 5,0 | 2,5 | 1,3 |
| | ტვენტე — ბაიერნი | 2,3 | 2,0 | 2,3 |
| | ნორვიჩ სიტი — ვიტესი | 1,3 | 2,5 | 5,0 |
| | პართსი — ატლეტიკო მადრიდი | 2,1 | 2,1 | 2,5 |
| | ნორჩიოპინგი — მეხელენი | 2,1 | 2,1 | 2,5 |
| | კარლსრუე — ეინდჰოვენი | 1,3 | 2,5 | 5,0 |
| | დინამო მოსკოვი — აინტრახტი | 3,7 | 1,9 | 1,7 |
| | დანდი იუნაიტედი — ბრონდბიუ | 1,8 | 2,1 | 3,0 |
| | დინამო ბუქარესტი — კალიარი | 2,3 | 2,0 | 2,3 |
| | დორტმუნდი—ვლადიკავკაზი 0:2 | 2,2 | 2,2 | 2,2 |
| 18 სექტემბერი | მანჩესტერ იუნაიტედი — არსენალი | 1,5 | 2,5 | 3,7 |
| | ქუინზ პარკი — ნორვიჩი | 1,8 | 2,1 | 3,0 |
| | ევერტონი — ლივერპული | 2,2 | 2,2 | 2,2 |
| | კარლსრუე — ვერდერი | 2,0 | 1,9 | 3,0 |
| | დუისბურგი — დორტმუნდი | 2,0 | 1,9 | 3,0 |
| | ლევერკუზენი — აინტრახტი | 2,0 | 1,9 | 3,0 |
| 19 სექტემბერი | დეპორტივო — რეალ მადრიდი | 2,1 | 2,1 | 2,5 |
| | ვალიადოლიდი — სევილია | 2,1 | 2,1 | 2,5 |
| | ატლეტიკო — ბარსელონა | 2,1 | 2,1 | 2,5 |
| | ატალანტა — კრემონეზე | 1,3 | 2,1 | 7,5 |
| | ფოჯა — კალიარი | 1,4 | 2,1 | 5,3 |
| | ჯენოა — ნაპოლი | 1,8 | 2,1 | 3,0 |
| | ლაციო — ინტერი | 2,0 | 1,9 | 3,0 |
| | მილანი — რომა | 1,2 | 2,2 | 8,3 |
| | პარმა — ტორინო | 1,8 | 1,9 | 3,4 |
| | უდინეზე — სამპდორია | 2,0 | 2,0 | 2,6 |
| | ბრაზილია — ურუგვაი | 1,2 | 2,2 | 8,3 |
| | ეკვადორი — ბოლივია | 5,7 | 1,6 | 1,7 |

შენიშვნა: ევროტურნირების თამაშებზე ფსონების მიღება შეწყდება სამშაბათს 16 საათზე.

### წინა ტურის შედეგები:

11 სექტემბერი: ლივერპული — ბლექბერნი 0:1, ჩელსი — მანჩესტერ იუნაიტედი 1:0. 12 სექტემბერი: ვალენსია — ატლეტიკო ?, სპორტინგი — დეპორტივო 0:2, კალიარი — ინტერი 1:0, კრემონეზე — ლაციო 1:0, ფოჯა — იუვენტუსი 1:1, მილანი — ატალანტა 2:0 (1), პარმა — ჯენოა 2:1, რომა — ნაპოლი 2:3, ურუგვაი — ბოლივია 2:1.

## შედეგთა დაფა

### კრიკეტი

სამხრეთი აფრიკის ტურნე შრი-ლანკაზე მეორე ერთდღიანი, სადღელამისო მატჩი. კატარამას სტადიონი, კოლომბო. 2.IX. სამხრეთი აფრიკა 220 გარბენი 7 გაგდებულის სანაცვლოდ (50 წყების შედეგად); შრი-ლანკა 96 გარბენი ყველა გაგდებულის სანაცვლოდ (34 წყების შემდეგ) — სამხრეთმა აფრიკამ მოიგო 124 გარბენით და სერიაში 1-0 დაწინაურდა.

მესამე ერთდღიანი მატჩი. კატარამა. 4. IX. შრი-ლანკა 198-9 (50); სამხრეთი აფრიკა 154-ყველა (44.1) — შრი-ლანკამ მოიგო 44 გარბენით. სერია ფრედ 1-1 დამთავრდა (ერთი თამაში ჩაიშალა).

მეორე ტესტი. კოლომბოს სპორტული კლუბი. ორშაბათი, 6. IX. პირველი შესვლა. შრი-ლანკა 168 — ყველა; სამხრეთი აფრიკა 48-0; სამშაბათი, 7.IX. სამხრეთი აფრიკა 280-2 დაწინაურდა 112 გარბენით; ოთხშაბათი, 8.IX. სამხრეთი აფრიკა 495 — ყველა (პანსი კრონიე 122); პირველი შესვლა მოიგო 327 გარბენით. მეორე შესვლა. შრი-ლანკა 49-4 აგებდა 278 გარბენით; ხუთშაბათი, 9.IX. დასვენების დღე იყო. პარასკევი, 10.IX. შრი-ლანკა 119-ყველა. სამხრეთმა აფრიკამ გაიმარჯვა შესვლითა და 208 გარბენით.

შაბათი, 4.IX. ლონდონი, „ლორდსი". ერთდღიანი კრიკეტის „ნეტ-ვესტ ტროფის" ფინალი. სასექსი 321-6 (60) ვორიკშირი 321-4 (60)

### რაგბი

ახალი ზელანდიის პროვინციათა ჩემპიონატი. I ჯგუფი. 11.IX. ოკლენდი 51 (7 ლ) ველინგტონი 14; ოტაგო 46 კენტებრი 16; ვაიკატო 59 ტარანაკი 5; ჩრდ. ნავსაყუდელი 37 პოქის ყურე 27. კლასიფიკაცია: 1. ოკლენდი; 2-3. ოტაგო, ვაიკატო. 4. ჩრდ. ნავსაყუდელი; 5. ველინგტონი...

ქარრის თასი — სამხრეთი აფრიკის პროვინციათა პირველობა. 11.IX. ნატალი 34 (5ლ) ნარინჯის თარხანი სახელმწიფო 17; ტრანსვაალი 36 14ლ) ჩრდილოეთი ტრანსვაალი 13; ალმოსავლეთი კონცხი 22 დასავლეთი კონცხი 18. ნატალმა და ტრანსვაალმა გაინაღდეს თამაში ფინალში, რომელიც 16 ოქტომბერს გაიმართება.

სიდნეის საკლუბო ჩემპიონატი. ვორინგა 19 რენდვიკი 19. ვორინგამ აჯობა რენდვიკს, რომელმაც მანამდე ზედიზედ 16-ჯერ (!) მოიგო პირველობა.

### ცხენოსნობა

ევროპის ჩემპიონატი ცხენის გაწვრთნაში. 5 სექტემბერი. სლოვენია. პირადი. 1. იზაბელ ვერტი (გერმანია), 2. მონიკა თეოდორესკუ (გერმანია), 3. ემილია ვაური (ბრიტანეთი). გუნდური. 1. გერმანია, 2. ბრიტანეთი, 3. პოლანდია

### მძლეოსნობა

სრულიად ჩინეთის სპორტული თამაშები. პეკინი, მუშათა სტადიონი.

შაბათი, 11.IX. ქალები. 1500 მ. 1. ლიუ დუნი — 3.50,46; ტ. კაზანკინას 1980 წლის მსოფლიოს რეკორდი გაუმჯობესდა 2 წამით

კვირა, 12.IX. ქალები 3000 მ. 1. ვან ცზუნსია 8.12,20; ტ. კაზანკინას 1984 წლის მსოფლიოს რეკორდი გაუმჯობესდა 10 წამით

### ხელბურთი

თასების მფლობელთა თასი. ვაჟები. „სვეტოტეხნიკა-კოლოსი" (ბროვარი, უკრაინა) — „ამირანი" (თბილისი) 28:19, 28:24

### ფრენბურთი

ევროპის ჩემპიონატი. ვაჟები. 4-12 სექტემბერი. ფინეთი

წინასწარი ტურნირი. „ა" ჯგუფი. იტალია — 5 მოგება, პოლანდია — 4, ბულგარეთი — 2, ჩეხეთ-სლოვაკეთი — 2, საფრანგეთი — 2, შვედეთი — 0; „ბ" ჯგუფი: რუსეთი — 5, გერმანია — 4, უკრაინა — 3, პოლონეთი — 2, ფინეთი — 1, ესპანეთი — 0.

ნახევარფინალი: იტალია — გერმანია 15:1, 15:6, 15:11; პოლანდია — რუსეთი 3-0.

ფინალი: იტალია — პოლანდია 3-2. III ადგილისთვის: რუსეთი—გერმანია 3-0

## ჭიდაობა

ხვალ სტოკჰოლმში დაიწყება მსოფლიოს ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. საქართველოს ნაკრების შემადგენლობა ასეთია: გელა პაპაშვილი (48 კგ, თბილისი), დიმიტრი მუმლაძე (57 კგ, ბორჯომი), აკაკი ჩაჩუა (62 კგ, სამტრედია), გიორგი ჯინჭველაშვილი (74 კგ, ქუთაისი), ბეგი დარჩია (82 კგ, თბილისი, ნაკრების უფროსი მწვრთნელი), თენგიზ თედორაძე (90 კგ, ბათუმი). ბარსელონის ოლიმპიადის პრიზიორი გოგი კოლუაშვილი რუსეთის ნაკრებში იჭიდავებს.

### ქართველები მსოფლიოს ჩემპიონატებზე

#### ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

ჩემპიონები

| | | |
|---|---|---|
| 1953 | გივი კარტოზია | I საშუალო |
| 1955 | გივი კარტოზია | I საშუალო |
| 1958 | გივი კარტოზია | I საშუალო |
| | როსტომ აბაშიძე | ქვემძიმე |
| 1961 | ავთანდილ ქორიძე | I ქვესაშუალო |
| 1962 | როსტომ აბაშიძე | ქვემძიმე |
| 1963 | როსტომ აბაშიძე | ქვემძიმე |
| 1966 | რომან რურუა | მსუბუქი |
| 1967 | რომან რურუა | მსუბუქი |
| 1969 | რომან რურუა | მსუბუქი |
| 1970 | რომან რურუა | I ქვესაშუალო |
| 1978 | ვახტანგ ბლაგიძე | მჩატე |
| 1981 | ვახტანგ ბლაგიძე | მჩატე |
| | მიხეილ სალაძე | ქვემძიმე |
| 1982 | თემურ ყაზარაშვილი | უმჩატესი |
| | თემურ აფხაზავა | I საშუალო |
| 1983 | თემურ აფხაზავა | I საშუალო |
| 1987 | გურამ გედეხაური | ქვემძიმე |

მეორე პრიზიორები

| | | |
|---|---|---|
| 1962 | ომარ ეგაძე | ქვემსუბუქი |
| 1963 | დავით გვანცელაძე | I ქვესაშუალო |
| 1969 | ომარ ბლიაძე | I საშუალო |
| 1974 | შოთა მორჩილაძე | მძიმე |

მესამე პრიზიორები

| | | |
|---|---|---|
| 1973 | შოთა მორჩილაძე | მძიმე |
| 1974 | ირაკლი ბერიშვილი | II ქვესაშუალო |
| 1983 | თემურ ყაზარაშვილი | უმჩატესი |

## საჯილდაო

ცხრა კვირის განმავლობაში
ცხრა-ცხრა შეკითხვა სპორტის
ცხრა სახეობის შესახებ

კითხვები წრეობრივად გართულდება. პირველი წრის კითხვები უმარტივესი იყო და თითოს გამოცნობა თითო ქულად შეფასდა, მეორე წრის კითხვების გამოცნობა — ორ-ორ ქულად, მესამისა — სამ-სამად და ა.შ.

ერთი სიტყვით, ჰა, ბურთი და ჰა, მოედანი!

### მეოთხე წრე

(1) რომელ წელს, სად და ვის გაუტანა შოთა ხინჩაგაშვილმა გოლი? როგორ დამთავრდა თამაში?
(2) რომელი საჩოგბურთო შეჯიბრებები შედის „დიდ სლემში"? როგორი თანმიმდევრობით იმართება?
(3) ხელბურთი როდის შეიტანეს ოლიმპიადაში? ვინ იყვნენ პირველი ჩემპიონები?
(4) რამდენ მწკრივად დაწყობილი რამდენი ქვით რამდენ უჯრაზე თამაშობენ საერთაშორისო შაშს? როგორი დროის კონტროლით?
(5) სად და როდის მოიპოვა იუგოსლავიის ვაჟ კალათბურთელთა ნაკრებმა პირველი მნიშვნელოვანი ტიტული? რისი ჩემპიონი გახდა?
(6) რომელ საჭადრაკო ოლიმპიადაში არ მონაწილეობდნენ საბჭოელები (როდის? სად? რატომ?)
(7) სად და როდის გაიმართა რაგბის პირველი მსოფლიო ჩემპიონატი? ვინ გაიმარჯვა?
(8) პირველად სად და როდის მოიგეს რუსმა ჰოკეისტებმა მსოფლიოს ჩემპიონობა? მერამდენე ცდით? ბოლო თამაშში ვის სძლიეს?
(9) მძლეოსანთა შორის ვინაა ერთადერთი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი? სად და როდის გაიმარჯვა და რა შედეგით?


შეზღუდული
პასუხისმგებლობის
საზოგადოება
«ლომბარდი»

თბილისი, ჯიქიას ქუჩა, 8

კომერციული ბანკი
მინაგობანკი
Commercial Bank
MINAGOBANK

სასტუმრო „აჭარა"
ოფისი № 305
ტელეფონი: 369 096, 369 407

„ბანკი, რომელსაც არ ჰყავს უკმაყოფილო კლიენტი"

# მოვიდა, ნახა, გაიმარჯვა!

მეექვსე „ვაკის შვიდკაცა". 11-12 სექტემბერი
მსაჯები: ზ. რეხვიაშვილი (13 თამაში), თ. ცინცაძე (10), რ. სანებლიძე (7), პ. ნარიმანაშვილი (6), ბ. ხამაშურიძე (3), რ. ჩხეიძე (1)
შაბათი. „ა" ქვეჯგუფი. ვესტა 24 ყოჩები II 0, ყოჩები 24 უნივერსიტეტი 5; ვესტა 10 ყოჩები 7, ყოჩები II 17 უნივერსიტეტი 0; ვესტა 46 უნივერსიტეტი 0, ყოჩები 17 ყოჩები II 7. ვესტა (6 ქულა), ყოჩები (4), ყოჩები II (2), უნივერსიტეტი (0)
„ბ" ქვეჯგუფი. ლავრი 26 ქორები II 7; შევარდენი 35 ლავრი 5, აია (ქუთაისი) 27 ქორები II 3; შევარდენი 33 ქორები II 0, აია 28 ლავრი 0; აია 19 შევარდენი 7. აია (6), შევარდენი (4), ლავრი (2), ქორები II (0)
„გ" ქვეჯგუფი. აზოტი (რუსთავი) 26 მწვერთნელები 0, თბილისი 30 აკადემია 0; აზოტი 34 თბილისი 0, მწვერთნელები 19 აკადემია 7; აზოტი 48 აკადემია 0, თბილისი 5 მწვერთნელები 5. აზოტი (6), თბილისი (3; -4), მწვერთნელები (3; -14), აკადემია (0)
„დ" ქვეჯგუფი. ამირანი 10 რაში 0, ქორები 42 ლელო 5; ამირანი 27 ქორები 0, რაში 33 ლელო 0; ამირანი 15 ლელო 0, რაში 17 ქორები 5. ამირანი (6), რაში (4), ქორები (2), ლელო (0)
კვირა. XIII-XVI ადგილებისთვის. აკადემია 14 უნივერსიტეტი 7, ლელო 29 ქორები II 5; ქორები II 5 უნივერსიტეტი 0, ლელო 21 აკადემია 0
IX-XII ადგილებისთვის. მწვერთნელები 14 ყოჩები II 7, ქორები 12 ლავრი 0; ლავრი 17 ყოჩები II 0, ქორები 19 მწვერთნელები 5
V-VIII ადგილებისთვის. თბილისი 36 ყოჩები 0, შევარდენი 38 რაში 0; ყოჩები 26 რაში 12 (დამ.დრ.; 12-12), შევარდენი 33 თბილისი 14
I-IV ადგილებისთვის. ნახევარფინალი: ვესტა 12 (7) (ლ: იოვაძე, ქავთარაშვილი; გ: იოვაძე-2) აზოტი 10 (7) (ლ: ბერიშვილი; გ: ლეჟავა; ა: ლეჟავა); აია 17 (12) (7) (ლ: გაბრიჩიძე, ე.ძაგნიძე, ფხაკაძე; გ: ძაგნიძე) ამირანი 12 (12) (5) (ლ: კვარაცხელია, ბურჯანაძე; გ: ბურჯანაძე, (დამ.დრ.)
მცირე ფინალი: აზოტი 28 (14) (7) (ლ: მინდორაშვილი-3, ჩიტაძე; გ: ლეჟავა-4) ამირანი 14 (14) (0) (ლ: ჩაჩუა, მაჭუტაძე; გ: ბურჯანაძე, კვარაცხელია) (დამ. დრ).
მთავარი ფინალი: აია 7 (7) ვესტა 5 (5)
აია: სოფრომაძე, ფხაკაძე, გოგისვანიძე; იობიძე, ე. ძაგნიძე, ტყაბლაძე (ჩუბინიძე), გაბრიჩიძე (ჩხაიძე). ლ: ჩუბინიძე, გ: ე. ძაგნიძე
ვესტა: წეველიძე, ობოლაძე, კობახიძე (დაუშვილი); ნატროშვილი, იოვაძე, ჩხენკელი (ბუგიანიშვილი), ქავთარაშვილი. ლ: იოვაძე
მსაჯი: სანებლიძე

საბოლოო კლასიფიკაცია: 1. აია, 2. ვესტა, 3. აზოტი, 4. ამირანი, 5. შევარდენი, 6. თბილისი, 7. ყოჩები, 8. რაში, 9. ქორები, 10. მწვერთნელები, 11. ლავრი, 12. ყოჩები II, 13. ლელო, 14. აკადემია, 15. ქორები II, 16. უნივერსიტეტი

ქართული რაგბი გამთლიანების გზას დაადგა. ქვეყანაში გამეფებული უკიდურესი გაჭირვების მიუხედავად ლიხსიქით დარჩენილმა ერთადერთმა სარაგბო კლუბმა, ერთ დროს სახელმოხვეჭილმა ქუთაისის „აიამ" საშვიდკაცო გუნდი ვაკეში, ტრადიციულ საშემოდგომო ტურნირში სათამაშოდ მოავლინა.

ქუთათურებს ლიხსაქეთ ჩამოსვლა დაუგვიანდათ, მაგრამ ამერლებმა სანატრელ სტუმრებს ამჯერად, წინა ჩამოსვლისაგან განსხვავებით, მართლაც რომ საკადრისი დახვედრა მოუწყვეს და პირველი დღის უმთავრესი თამაშიც სულ ბოლოსთვის გადაუდეს. „აიამაც" შეიფერა ამგვარი დამოკიდებულება. შეჯიბრებამაც ერთობ გულითად ვითარებაში ჩაიარა. მეტოქეთა გაბოროტება-დაბოღმვა არავის შეუნიშნავს და არც ჩხუბი და აყალმაყალი ამტყდარა. ერთი სიტყვით, ვაკის VI შვიდკაცა ამერ-იმერის შერიგების საქმეს დიდად წაადგა.

ღლევანდელობის კვალობაზე ტურნირი ჭეშმარიტად სანიმუშოდ იყო ორგანიზებული. შეიკრიბა მონაწილეთა სარეკორდო რაოდენობა — თექვსმეტი. ისინი რაგბის კავშირის საქმეთა მმართველმა მიტო ქურდობაძემ სამართლიანად განთესა და თამაშთა განრიგიც მარჯვედ შეუდგინა, მაგრამ ქართული უდარდელობისა და მცონარობის ამბავი ყველას კარგად მოგვეხსენება და გუნდებიც ზოზინზოზინით შეიკრიბნენ და შაბათს თამაშებიც დაგვიანებით დაიწყეს, თუმცაკი რვასაათიანი (!) მარათონი, ანუ 24 თამაშიანი პროგრამა შებინდებამდე მაინც ჩამთავრდა.

კვირას ნაკლები — 16 მატჩი იყო გასამართი და ყველამ ოდნავ ამოისუნთქა. არც ტურნირის დამთავრება დაგვიანებულა მეტისმეტად — ოდენ სამმა დამატებითმა დრომ და ფინალის ტრავმებმა გააჭიანურა შეჯიბრება. და კიდევ ერთი არასასიამოვნო რამ გვეცა თვალში: მართალია, მორაგბეები ბატონ ჯანო ბაგრატიონის მხრივ გამოქომაგების შემდეგ კვლავ შეუშვეს ვაკის სტადიონზე, მაგრამ სტადიონის მომსახურე პერსონალმა ხელიდან არ გაუშვა თავისი შანსი — ისარგებლა რა იმით, რომ ბაზის ხელმძღვანელი ოჯახური მიზეზების გამო უქმეებზე ვერ გამოცხადდა სამსახურში, მორაგბეებს არც მოედანი დაუხაზა, არც ალმები დაუსო და არც ფეხბურთის კარები მოუხსნა. შეჯიბრება ისე გაილია, რომ რაგბის მოედანზე ფეხბურთის კარი იდგა, ფეხბურთისაზე კი — რაგბისა! სანამ მორაგბეები ყოჩაღად იყვნენ, არავის მოაფიქრდა ზედმეტი კარები მათთვის მოეხსნევინებინა, ხოლო როცა ეს აზრი დაიბადა, გათანგულებს აღარ ჰქონდათ ამის სამყოფი ძალა.

პურის რიგების ეპოქაში ვაკეში შეკრებილმა სარაგბო თემმა მარჯვედ გადაჭრა მონაწილეთა კვების საკითხიც. გუნდებმა ხუთ-ხუთი ათასი კუპონი დადეს და ქართული პური და პამიდორი მოატანინეს. ერთი სიტყვით, ვაკეში იმ დღეს ჭეშმარიტი სარაგბო ლხინი გაიმართა.

შეჯიბრებაც ლხინის შესაფერი გამოდგა. სექტემბრისთვის უჩვეულო თაკარა მზის მიუხედავად თავი არავის დაუზოგავს. ჩატარდა უკლებლივ ყველა (!) მატჩი, ყველა გუნდმა ხუთ-ხუთჯერ ითამაშა. განაწილდა ყველა ადგილი. ერთი სიტყვით, ასეთი შვიდკაცა ჩვენში აქამდე მართლაც არ გამართულა!

ტურნირს დიდად მოუხდა მწვრთნელების სახელდახელოდ შეკოწიწებული გუნდის მონაწილეობა. ბებრებმა ჯეელობა გაიხსენეს, თუმცაკი მათს უმეტესობას სიყმაწვილეში შვიდკაცა არასოდეს ეთამაშა, რაკიღა მაშინ ამ თამაშის გამო ჩვენში არა სმენოდათ რა. მწვრთნელები ისე გალაღდნენ, რომ საბოლოოდ საპატიო X ადგილიც დაიჭირეს. რაც შეეხება „რაშ" სერგო კეშელავას, მან 53 წლისამ ითამაშა შვიდკაცა, რაც იქნებ მსოფლიო რეკორდიც კი იყოს.

რაკიღა „აია" ბოლოსლა გამოჩნდა, გუნდნაკლულ ჯგუფში მოხვდა და შაბათს ბინდ-ბუნდშიღა მოუგო „შევარდენს". კვირას ორივე ნახევარფინალი უკიდურესად დაძაბული გამოდგა. მეტოქეები ერთურთის ღირსნი იყვნენ. ერთ თამაშში დამატებითი დროც კი დაინიშნა, რომელიც საყოველთაოდ მიღებული ტრადიციისაგან განსხვავებით, რატომღაც არ (!) დამთავრდა პირველივე გატანილი ბურთით.

ფინალი უსაშველოდ გაიწელა, იმდენი მოთამაშე დაშავდა. ყველა შესძრა სანდრო ჩხენკელის ტრავმამ, ვისაც ხელი იდაყვის სახსარში ამოუვარდა. სტადიონზე მყოფ სასწრაფოს, ვაი, რომ არც ბენზინი აღმოაჩნდა და არც გამაყუჩებელი — დღეს ერთიცა და მეორეც ხომ სულ სხვა საქმეებს ხმარდება. ისევ სანდროს მეგობრებმა იმარჯვეს და დაშავებული საავადმყოფოში გააქანეს.

განახლდა თამაში და ქუთათურმა ჩუბინიძემ უმალ ლელო გაიტანა, რასაც იოვაძის სოლო-რეიდი მოჰყვა. „აია" გარდასახვით დაწინაურდა, შესვენების შემდეგ ანგარიშიც შეინარჩუნა, თუმცაკი ბოლოსწინა წუთზე საჯარიმოს გაშვებას გადაურჩა.

ზაალ ბიბინეიშვილი

### „ვაკის შვიდკაცა": ფინალები

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| I | 29-30 X 1988 | 9 | ელმავალი „შ" | 2ლ, გ | (10) | ჯარი | 2ლ | (8) |
| II | 18-19 XI 1989 | 9 | ელმავალი „შ" | 3ლ, ს | (15) | ჯარი | 2ლ, გ, ა | (13) |
| III | 1-2 IX 1990 | 12 | აია | 4ლ, 4გ, ა | (27) | შევარდენი | ლ, გ | (6) |
| IV | 14-15 IX 1991 | 12 | ვესტა „ბ" | 3ლ, 2გ, ს | (19) | ვესტა „ა" | 3ლ, 2გ | (16) |
| V | 12-13 IX 1992 | 6 | შევარდენი* | ლ, გ | (7) | ვესტა | ს | (3) |
| VI | 11-12 IX 1993 | 16 | აია | ლ, გ | (7) | ვესტა | ლ | (5) |

* კლუბებს შორის. იმ წელს საქართველოს ნაკრებმა გაიმარჯვა.
მესამე სვეტში ტურნირში მონაწილე გუნდების რაოდენობა წერია



# უკეთეს საჩუქარს ვერც ინატრებდა

კვირას მონცას ავტოდრომზე მილეთის ხალხმა მოიყარა თავი. მილანის მახლობლად, სამეფო პარკში 1922 წელს აგებული „აუტოდრომო ნაციონალე" 64-ედ მასპინძლობდა იტალიის „გრან-პრის" გათამაშების მონაწილეებს.

ტიფოზები, ჯერ ერთი, თავისი ეროვნული სიამაყის, ყოველი იტალიელისთვის სათაყვანებელი „ფერარის" გუნდის ფრანგულ-ავსტრიული დუეტის ჟან ალეზისა და გერჰარდ ბერგერის მხარდასაჭერად მივიდნენ. მეორეც, სწორედ მონცაში შეიძლება ვადამდე „დაბადებულიყო" ახალი ჩემპიონი. წლევანდელი პირველობის ლიდერი ფრანგი ალენ პროსტი ამ მეცამეტე ეტაპის მოგების შემთხვევაში მიუწვდომელი ხდებოდა მეტოქეებისთვის. მაგრამ, 13 აბა რის თარსია, თუკი თავისას არ იზამდა: არც ჩემპიონი „დაბადებულა" და თანაც იმდენი ავარია მოხდა, მთელ სეზონში რომ არ ყოფილა. უკვე პირველივე წრეზე, ერთმანეთის მიყოლებით ჩამწკრივებული ოთხმოსახვევიანი სერპანტინის „პრიმა ვარიანტეს" გავლისას აირტონ სენას „მაკლარენი" ისეთი ძალით შეახტა დეიმონ ჰილის „უილიამსს", რომ თავადვე გავარდა ტრასიდან. დაბნეული ჰილიც რამდენიმე წამით შეყოვნდა. სენა ტრასაზე კი დაბრუნდა, მაგრამ ორივენი ამ პატარა კოლიზიის შედეგად, წინ წასული პელეტონის კუდში აღმოჩნდნენ.

პროსტი, რომელმაც ამჯერადაც პირველი პოზიციიდან აიღო სტარტი, ყოველ წრეზე ზრდიდა თავის უპირატესობას და



**დეიმონ ჰილი**
(დიდი ბრიტანეთი)
დაიბადა 1962 წლის 17 სექტემბერს ლონდონში.
სიმაღლე 183 სმ, წონა 72 კგ.
ბრიტანელმა პილოტმა ზედიზედ სამი რბოლის მოგებით ცივი წყალი გადაასხა მრავლის მომსწრე სპეციალისტებს, ვინც ჩემპიონატის წინ მას ანგარიშგასაწევ ძალად არ თვლიდნენ და ალენ პროსტის გვერდით სტატისტის ულიმღამო როლს უწინასწარმეტყველებდნენ. ერთადერთი, ვისაც დეიმონისა სჯეროდა, გუნდის შეფი ფრენკ უილიამსი იყო, რომელმაც თამამად ჩააბარა ახალბედას თავისი სუპერბოლიდის საჭე.
ყველა პროგნოზის ჯინაზე, ჰილი ფინიშამდე სამი ეტაპით ადრე არა-მარტო მეორეა სატურნირო ცხრილში, ჩემპიონობის შანსიც კი გაუჩნდა. მართალია, უფრო თეორიული.
ძალზე იშვიათია, რომ დებიუტანტს ასეთი დიდი წარმატებისთვის მიეღწიოს. იმ რვა რბოლიდან, რომლებშიც ბრიტანელი ფინიშამდე მივიდა, რვაჯერვე საპრიზო სამეულში იყო: სამჯერ პირველ ადგილზე გავიდა, ოთხჯერ მეორეზე და ერთხელაც მესამეზე.
ნადღეისოდ ჰილს 15 რბოლის შემდეგ 58 ქულა აქვს, ე.ი. საშუალოდ 4 ქულას აგროვებს. საინტერესოა, რომ ზუსტად ასეთივე შედეგი აქვს „ფორმულის" ყველაზე ტიტულოვან პილოტს ალენ პროსტს.



სულ უფრო შორდებოდა მდევრებს. სენა ისე აგრესიულად ცდილობდა დაკარგული წამების ანაზღაურებას, რომ ერთ-ერთი მოსახვევის წინ თავი ვერ შეიკავა და უკნიდან მთელი ძალით შეასკდა მარტინ ბრანდლის „ლიჟიეს". დაჯახება იმდენად ძლიერი იყო, რომ „ჯადოქრის" დაზიანებული ბოლიდი რბოლას გამოეთიშა. შედარებით „ცივსისხლიანი" ჰილი კი უფრო თავშეკავებულად, წესების დაცვით იცილებდა მეტოქეებს გზიდან და მალე ლიდერთა სამეულშიც ამოჰყო თავი პროსტისა და მიხაელ შუმახერის შემდეგ.

მონცას ჩქაროსნულ ტრასაზე, სადაც აშკარაა მძლავრი ძრავებიანი ბოლიდების უპირატესობა, უკვე მეთხუთმეტე წრეზე პროსტმა და შუმახერმა ერთი წრით უკან ჩამოიტოვეს მაიკლ ანდრეტის „მაკლარენი". „ფერარის" პილოტები ყოველმხრივ ცდილობდნენ იტალიელი გულშემატკივრების თვალწინ გუნდის საფუძვლიანად შერყეული რეპუტაციის აღდგენას. დისტანციის მესამედის გავლის შემდეგ ორივე ექვსეულში მიდიოდა, მაგრამ ბერგერმა მეტი ვეღარ შეძლო — ბოქსებში შესულმა ბრძოლა შეწყვიტა. მალე მას შუმახერიც მიჰყვა. გერმანელი პილოტი ისე იკლავდა თავს პროსტის გასასწრებად, რომ მეოცე წრეზე ძრავი „გადაწვა".

რბოლის მეორე ნახევარში, საბურავების შეცვლის შემდეგ, თავი გამოიდო ჰილმა. ოცდამეათე წრიდან მოყოლებული, მან ექვსჯერ გააუმჯობესა ტრასის რეკორდი და მალე პროსტის ოცწამიანი უპირატესობიდან აღარაფერი დარჩა. დეიმონი კვალში ჩაუდგა ლიდერს და გადამწყვეტი იერიშისთვის მოემზადა, მაგრამ ყველაფერი უბრძოლველად გადაწყდა — ფინიშამდე ოცდაათიოდე კილომეტრი იყო დარჩენილი, როცა „პროფესორს" იგივე შეემთხვა, რაც შუმახერს. „უილიამსმა" აბოლებული ძრავით რამდენიმე ასეული მეტრიღა გაიარა და ჩემპიონობის საკითხიც დროებით გადაიდო.

ამის შემდეგ ბურთი და მოედანი ბრიტანელს დარჩა. მან ზედიზედ მესამე რბოლის მოგებით სატურნირო ცხრილში მეორე პოზიცია წაართვა სენას, რითაც თავის თავს მშვენიერი საჩუქარიც მიუძღვნა — სამი დღის შემდეგ დეიმონს 31 წელი უსრულდება. ამასთან, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის გრეჰემ ჰილის ვაჟის მიერ 45-ე წრეზე ნაჩვენები შედეგი — 249,84 კმ-სთ მონცას ახალი რეკორდია, რომელიც 7 კმ-ით (!) სჯობს „ჯადოქრის" შარშანწინდელ მიღწევას (242,6 კმ-სთ).

მრავალათასიანი ქომაგების გასახარად, ალეზიმ ამჯერად მთელი გზა ფათერაკების გარეშე განვლო და მეორემ გადაკვეთა ფინიშის ხაზი. როგორც იქნა, ბოლოს და ბოლოს, „ხმა ამოიღო" მეორე სახელოვანი მამის, მსოფლიოს 1978 წლის ჩემპიონის მარიო ანდრეტის ვაჟმა მაიკლმა. მან ბოლომდე სოლიდურად, ყოველგვარი უაზრო რისკის გარეშე იარა და პირველად დაიკავა ადგილი კვარცხლბეკზე. ეს წარმატება ძალზე დროულიც იყო, რადგან „მაკლარენში" გაისად მის ყოფნას უკვე კარგა ხანია წყალი აქვს შემდგარი.

გუშინწინ საკმაოდ მრავალრიცხოვანი ავარიებიდან ყველაზე მძიმე, რომელიც საბედნიეროდ ტრაგიკულად არ დასრულებულა, ბოლო წრეზე მოხდა ცენტრალური ტრიბუნის წინ. ბრაზილიელი კრისტიან ფიტიპალდის „მინარდი" უკნიდან გამეტებით ეჯგერა თავის თანაგუნდელს პიერლუიჯი მარტინის, ათიოდე მეტრით მაღლა აფრინდა და ჰაერში ამოტრიალდა. ბედად ასფალტს მუცლით დაენარცხა, მაგრამ ისეთი ძალით, რომ ორი ბორბალი დაკარგა და ასე სანახევროდ დაშლილმა ხუთასიოდე მეტრი კიდევ იხოხა.

გია ახალაძე

იტალიის „გრან-პრის" შედეგები (53 წრე. საერთო სიგრძე 307,4 კმ). საუკეთესო შედეგი ერთ წრეზე (5800 მ) აჩვენა დეიმონ ჰილმა — 249,84 კმ-სთ.
1. დეიმონ ჰილი (დიდი ბრიტანეთი, „უილიამსი") — 1:17.07,509; 2. ჟან ალეზი (საფრანგეთი, „ფერარი") — ჩამორჩა 40,012 წამით; 3. მაიკლ ანდრეტი (აშშ, „მაკლარენი") — 1 წრით; 4. რიკარდო პატრეზე (იტალია, „ბენეტონი") — 1 წრით; 5. კარლ ვენდლინგერი (ავსტრია, „ზაუბერი") — 1 წრით; 6. პიერლუიჯი მარტინი (იტალია, „მინარდი") — 1 წრით;
საერთო ჩათვლა. კონსტრუქტორები: 1. „უილიამსი" — 139 ქულა; 2. „ბენეტონი" — 63; 3. „მაკლარენი" — 60; 4. „ლიჟიე" — 21; 5. „ფერარი" — 20; 6. „ლოტუსი" — 12; 7. „ზაუბერი" — 9; 8. „მინარდი" — 8; 9. „ფუტუორკი" — 4; 10. „ლარუსი" — 2.



| | | სამხ. აფრიკა | ბრაზილია | ევროპა | სან მარინო | ესპანეთი | მონაკო | კანადა | საფრანგეთი | დ. ბრიტანეთი | გერმანია | უნგრეთი | ბელგია | იტალია | პორტუგალია | იაპონია | ავსტრალია | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ალენ პროსტი „უილიამსი" საფრანგეთი | 10 | | 4 | 10 | 10 | 3 | 10 | 10 | 10 | 10 | | 4 | | | | | 81 |
| 2 | დეიმონ ჰილი „უილიამსი" დიდი ბრიტანეთი | | 6 | 6 | | | 6 | 4 | 6 | | | 10 | 10 | 10 | | | | 58 |
| 3 | აირტონ სენა „მაკლარენი" ბრაზილია | 6 | 10 | 10 | | 6 | 10 | | 3 | 2 | 3 | | 3 | | | | | 53 |
| 4 | მიხაელ შუმახერი „ბენეტონი" გერმანია | | 4 | | 6 | 4 | | 6 | 4 | 6 | 6 | | 6 | | | | | 42 |
| 5 | რიკარდო პატრეზე „ბენეტონი" იტალია | | | 2 | | 3 | | | | 4 | 2 | 6 | 1 | 3 | | | | 21 |
| 6 | მარტინ ბრანდლი „ლიჟიე" დიდი ბრიტანეთი | | | | 4 | | 1 | 2 | 2 | | | 2 | | | | | | 11 |
| 6 | ჯონი ჰერბერტი „ლოტუსი" დიდი ბრიტანეთი | | 3 | 3 | | | | | | 3 | | | 2 | | | | | 11 |
| 8 | მარკ ბლანდელი „ლიჟიე" დიდი ბრიტანეთი | 4 | 2 | | | | | | | | 4 | | | | | | | 10 |
| 8 | გერჰარდ ბერგერი „ფერარი" ავსტრია | 1 | | | | 1 | | 3 | | | 1 | 4 | | | | | | 10 |
| 8 | ჟან ალეზი „ფერარი" საფრანგეთი | | | | | | 4 | | | | | | | 6 | | | | 10 |

# რანფერლის ფარი: რეკორდები და ინტრიგები

უცნაური გარდამავალი ჯილდო თამაშდება ახალზელანდიურ რაგბში. იგია ე.წ. რანფერლის ფარი (Ranfurly Shield), რომელიც ჯერ კიდევ 1902 წელს დაუწესებია რანფერლის ერლს (ერლი ბრიტანული სათავადაზნაურო წოდებაა), ქვეყნის იმდროინდელ გუბერნატორს.

რანფერლის ფარი ახალი ზელანდიის უძლიერეს პროვინციას ერგება. დებულების თანახმად, მფლობელი ვალდებულია წელიწადში არანაკლებ შვიდჯერ დაიცვას ფარი ხელყოფისაგან; ხელმყოფები კი მას მრავლადა ჰყავს: ყოველი წლის ბოლოს ფარის დაუნჯების მსურველები მფლობელს თავის განზრახვას აცნობებენ და თუ მფლობელი ყაბულს იქნება, საგაისოდ მოცილეს თამაშს დაუნიშნავს.

რანფერლის ფარის მოსაპოვებლად მფლობელი მის მოედანზე უნდა დაამარცხო. ფარი სულ პირველს ოკლენდს მოუგია, ხოლო ველინგტონს მისთვის პირველს წაურთმევია ჯილდო 1904 წელს.

მას შემდეგ ჯილდო ხელიდან ხელში გადადის და ამ ხნის მანძილზე ბევრი რეკორდიც აღნუსხულა. ასე მაგალითად, ერთი პირობა ოკლენდსა და კენტებრის 25-25 თამაშის მანძილზე შეუნარჩუნებიათ ფარი.

დღეს ეს რეკორდი ერთ რიგით მიღწევადლა აღიქმება. საქმე ისაა, რომ ოკლენდმა ფარი კენტებრის უკანასკნელად 1985 წელს წაართვა და მას შემდეგ ერთთავად ინარჩუნებს.

ფარის გათამაშების წესებში ეს შემთხვევაცაა გათვალისწინებული: თუ გუნდი ფარს ორი სრული სეზონის განმავლობაში შეინარჩუნებს, მას უფლება ენიჭება, მოცილეებს შინ კი არ დაუხვდეს, არამედ ფარი ტურნეზე წაიღოს (?!) და პრეტენდენტებს თავად ეწვიოს.

ოკლენდი ბოლო წლებია, ასეც იქცევა. რაკილა ახალზელანდიურ რაგბში დიდი სხვაობაა ბობოლებსა და მაჩანჩალებს შორის, ოკლენდი ყაბულსაა, მეორე და მესამე ჯგუფების გუნდებს სტუმრად ეთამაშოს.

ამათ, რაღა თქმა უნდა, ფარის მოგების შანსი ნაკლებად ან სულაც არა აქვთ, რაც თავადაც კარგად მოეხსენებათ. მიუხედავად ამისა, მფლობელის სათამაშოდ მიპატიჟება, ერთი რომ, საპატიოა, და მეორეც, ოკლენდის სანახავად ხალხი ჩვეულებრივზე მეტად გროვდება, შემოსავალი კი მთლიანად ხელმოცლე მასპინძელს რჩება.

აი, წელსაც ოკლენდმა უკვე ოთხჯერ დაიცვა ფარი და რეკორდი 61-მდე აიყვანა. 5 ივნისს 69:31 მოუგო პირველი ჯგუფის ახალბედა ჰოქის ყურეს, 1 სექტემბერს ჩრდილოეთ ოტაგოს სძლია 139:5, 4 სექტემბერს — კენტებრის 39:6, 11 სექტემბერს კი — ველინგტონს 51:14.

პირველი სექტემბრის თამაშში სხვა რეკორდიც მრავლად დამყარდა. ერთი, რომ ანგარიში სარეკორდოდ დიდი გამოდგა არა მარტო ფარის თამაშებისთვის, არამედ საერთოდ ახალი ზელანდიის საშინაო ასპარეზისთვის. არადა, წინა რეკორდიც — თემზის დაბლობის 97:0 ძლევა ოკლენდს ეკუთვნოდა.

მეორე: სარეკორდო იყო ოკლენდის მიერ გატანილ ლელოთა რაოდენობა — 23.

და მესამეც: „ოლ ბლექსის" ცნობილმა გარემარბმა ჯონ კერვინმაც მანამდე მიუღწეველი შეძლო — ახალზელანდიურად ე.წ. პირველი კლასის თამაშში 9 ლელო გაიტანა.

საგულისხმოა კენტებრისა და ველინგტონის დიდი ანგარიშებით დამარცხებაც. საქმე ისაა, რომ ველინგტონს ოკლენდისა და ოქსფორდის უნივერსიტეტის ყოფილი 9 ნომერი, მსოფლიოს პირველი ჩემპიონების კაპიტანი დევიდ კირკი წვრთნის და გუნდიც სულ ორი კვირის წინ ქვეყნის ჩემპიონატს ლიდერობდა. რაც შეეხება კენტებრის, მასთან ოკლენდს ძველი ანგარიშები ჰქონდა გასასწორებელი.

უნდა ითქვას, რომ რანფერლის ფარის გათამაშება ბრწყინვალე რაგბის გარდა სკანდალებითაცაა ცნობილი. ბოლო და უმაგალითო აყალმაყალი სამი წლის წინ, 1990 წლის 6 ოქტომბერს მოხდა სწორედ ოკლენდისა და კენტებრის თამაშში.

იმ დღეს სეზონი მთავრდებოდა და კენტებრის რაგინდარა ხერხით მონდომებოდა ფარის დაბრუნება. სტუმრები თურმე გულდაგულ გასცნობოდნენ შინაურ შეჯიბრებათა წესებს და მათი ვერაგულად გამოყენებით აპირებდნენ გამარჯვებას.

ახალ ზელანდიაში რაგბს ერთობ ხისტად და სასტიკადაც თამაშობენ, რის გამოც ტრავმა ხშირია. ამის გამოა, რომ იქაური რაგბის მამები ერთთავად თამაშის უსაფრთხოებისათვის ფიქრობენ და ხან რა წესს მოიგონებენ და ხან რას.

ერთი მათგანი იმ წელს მოეაზრებინათ: თუ გუნდს პირველი ხაზის მორკინალს გაუგდებენ, მოდით და გაძევებულის ნაცვლად სათადარიგოს შემოყვანის უფლება მივცეთ, თორემ გუნდის სხვა უწრთობი წევრი რომ დადგეს კვაჭად ან ბურჯად, ვინ იცის, რა დაემართებაო.

ხელისუფლებს წესი კი შემოეღოთ, მაგრამ გუნდების უმრავლესობას იგი, ეტყობა, ვერ შეეტყო. ასე მაგალითად, ჩრდილოეთ ოკლენდისთვის მეტოქეს შეუხსენებია, რიცხვნაკლული ნუ თამაშობთ, სათადარიგო შემოიყვანეთო.

რაც შეეხება კენტებრის, მას არათუ სცოდნია ეს წესი, არამედ საქმის სასარგებლოდ გამოყენებაც განუზრახავს და აი, როგორ: ახალი წესის თანახმად თუ გუნდს შემცვლელად კვაჭი და ბურჯი ვერ მოეძევებოდა, შერკინების ნაცვლად თავისუფალი დარტყმა (!) უნდა დანიშნულიყო.

ჰოდა, დაიწყო თამაში და მე-5 წუთზე ერთ-ერთი შეტაკების შედეგად მსაჯმა რაღაც ეშმაკად კენტებრის კვაჭი გაუძევა. გაძევებულმა მოედნიდან გამოსვლისას შემცვლელს გადაულაპარაკა, „მსაჯს უთხარი, კვაჭობა ვერ მეხერხებაო".

მართლაც, გამოხდა რამდენიმე წუთი და დაინიშნა შერკინება. მაშინ კენტებრის მორკინალთა წინამძღოლმა მსაჯს მოახსენა, სათადარიგო მოთამაშე ხელდასხმული კვაჭი ვერაა და ამიერიდან შერკინების ნაცვლად თავისუფალი უნდა დანიშნოო. მსაჯს ეღდა ეცა და სასწრაფოდ უხმო გუნდის კაპიტან მცველს, ამან კი თუთიყუშივით იგივე წამოაყრანტალა.

გაცხადდა კენტებრის მუხთლობა. ოკლენდი აღშფოთდა და ამაოდ დაუწყო მსაჯს მტკიცება, შემცვლელს ზოგი ჩვენგანის მხარდამხარ ჭაბუკთა ნაკრებში უთამაშია პირველ ხაზშიო. მსაჯი, ცხადია, ამ მტკიცებას საბუთად ვერ მიიჩნევდა და, რაღა რჩებოდა, ყოველი შერკინების მაგივრად თავისუფლის დანიშვნა დაიწყო.

მოედანზე არნახული სანახაობა გაიმართა. იგი მდარედ ნათამაშებ ცამეტკაციან რაგბს წააგავდა. კენტებრის, ეტყობა, წინასწარვე მოეაზრებინა ტაქტიკა და ხელით გათამაშების ნაცვლად ბურთს ფეხით აგორებდა, მერე მისდევდა, მეტოქისთვის რაქში რომ დაესწრო და „შერკინებაში ბურთის შეგორების უფლება" მოეპოვებინა. ეს უფლება, „ჭკვიანური" წესის გამო, მორიგი გაგორების ან კარში არეკნით შეუფერხებლივ დარტყმის უფლების ტოლფასი იყო, რითაც ორივე გუნდმა იხეირა.

ხალხი მოიწყინა. რამდენიმე წუთში მას გამოუცხადეს შექმნილი ვითარება და ერთი ვაი-უშველებელიც ატყდა. საზოგადოებას ნაღდი რაგბის ხილვა სურდა და არა პაროდიისა. შესვენების შემდეგ კენტებრის საზრიანი მწვრთნელი მოედნიდან ტრიბუნაზე რომ ბრუნდებოდა, ერთი-ორი დაცლილი ლუდის ქილა კინაღამ მოხვდა, მატჩისშემდგომ წვეულებაზე კი მრავლად იყო შელაპარაკება, ცხვირის აბზუება თუ სტვენა. კიდევ კარგი, მუხთალმა კენტებრიმ ვერ მოიგო, თორემ ვინ უწყის, რა უბედურება დატრიალდებოდა.


ჯონ კერვინი

# ისევ კრიკეტის გამო

როგორც წინათაც აღვნიშნეთ, კლასიკური კრიკეტი კარგი თამაშია, მაგრამ ხშირად უშედეგოდ მთავრდება. უეჭველად ამის გამო იყო, ერთდღიანი კრიკეტი რომ მოიგონეს. მას ხომ ერთი-ორი წესი განსხვავებული აქვს.

სახელდობრ, გასამარჯვებლად აუცილებელი არაა მეტოქის ათივე ტაფელოსნის გაგდება. სამაგიეროდ, შეზღუდულია მოწოდებათა რაოდენობა. თითოეული შეჯიბრებისა თუ მატჩისთვის ეს რაოდენობა წინდაწინ დგინდება. ასე მაგალითად, მსოფლიო თასზე და ტურნეებზე შემტევი გუნდი 50 წყებას აწვდის, ინგლისის საკვირაო ლიგაში — 40 წყებას, „ნეტ-ვესტ ტროფიში" — 60-ს, „ბენსონ-ჰეჯესის" მსოფლიო სერიაში კი — 55-ს. შეგახსენებთ, რომ წყებაში 6 მოწოდებაა.

იმის გამო, რომ ერთდღიან კრიკეტში წყებათა რაოდენობა დაფიქსირებულია, ბჭეების დამცველი გუნდი ყრუ დაცვაში ველარ ჩადგება — თორემ გაილევა მისი ერთადერთი შესვლა და გარბენებს როდისღა მოაგროვებს! მაგრამ არც მეტისმეტი თავზე ხელის აღება ვარგა, რაკილა თუ დადგენილი წყებების ამოწურვამდე ათ ტაფელოსანს გაუგდებენ, შესვლა კლავინდებურად დამთავრდება. ერთი სიტყვით, ერთდღიან კრიკეტში გარბენთა მოგროვების პროცესი ორი ფაქტორითაა შეზღუდული, რაც იმის გარანტიაა, რომ შესვლა აუცილებლად დროულად დასრულდება.

ანგარიშიც მარტივად ითვლება: თითო შესვლის დამთავრების შემდეგ მეორე გუნდის მონაგარი პირველს ედრება. თუ პირველისა მეტია, იტყვიან, პირველმა ამდენი და ამდენი გარბენით გაიმარჯვაო. თუ პირიქით, ზოლზე მეორედ შესული გუნდი მეტს მოაგროვებს, მაშინ ზღვრულ ათ ბჭეს დააკლებენ მისთვის გაგდებულ ტაფელოსანთა რაოდენობას და ბჭეების სხვაობით გამარჯვებულად მეორე გუნდს გამოაცხადებენ.

ახლა ვთქვათ და ორივემ გარბენთა ტოლი რაოდენობა მოაგროვა. მაშინ გამარჯვებული ისაა, ვისაც ნაკლები ტაფელოსანი გაუგდეს. ასეთი რამ ერთობ იშვიათია, მაგრამ ახლახანს კი მოხდა. წინა შაბათს გაიმართა სასექსისა და ვორიკშირის ფინალური შეხვედრა, რომელშიც სარეკორდო მონაგარი აღინიშნა. სასექსს გამარჯვება დაბევებული ჰქონდა, მაგრამ ვორიკშირის ტაფელოსანმა ასიფ დინმა ბოლო წყების ბოლო ბურთის მოგერიებით გაათანაბრა ანგარიში და რაკილა მის გუნდს ნაკლები ტაფელოსანი დაეკარგა, გამარჯვებულადაც გამოცხადდა.

ერთდღიანი კრიკეტის პირველი დიდი მატჩი 1971 წლის 5 იანვარს მელბურნის „კრიკეტ გრაუნდზე" (MCG) გაიმართა ავსტრალიისა და ინგლისის მონაწილეობით. 1979-80 წლების ზამთრიდან ავსტრალიაშივე ყოველწლიურად თამაშდება ზემოთხსენებული მსოფლიო სერია. იმართება მსოფლიო თასის გათამაშებაც. 1975 და 1979 წლებში გაიმარჯვა ვესტ-ინდოეთმა, 1983 წელს — ინდოეთმა, 1987 წელს — ავსტრალიამ, 1992 წელს კი — პაკისტანმა. მეექვსე მსოფლიო თასისთვის 12 გუნდი ინდოეთში, პაკისტანსა და შრი-ლანკაზე შეეჯიბრება ერთურთს 1996 წელს.

ბოლოს შრი-ლანკა — სამხრეთი აფრიკის მეორე ტესტის შესახებაც. სტუმრებმა ისე მოიგეს, რომ ზოლზე მეორედ შესვლა არც დასჭირვებიათ. თამაშის ბოლოსწინა დღეს, სადილის მოახლოებისას მათ კვლავ გაისტუმრეს მასპინძელთა ათივე ტაფელოსანი, თან ისე, რომ მასპინძლებმა ორი შესვლის ჯამში 208 გარბენით ნაკლები მოაგროვეს, ვიდრე სამხრეთმა აფრიკამ ერთ შესვლაში. ლანკელთა გაპამპულავებაში ლომის წილი დაიდო მომწოდებელმა ბრედ შულცმა, ვინაც 20-დან 9 ტაფელოსანი გააგდო ისე, რომ ამათ მისი ნატყორცნი ბურთებიდან მხოლოდ 106 გარბენი მოაგროვეს.

ასე იყო თუ ისე, სამხრეთმა აფრიკამ  დღეებში 179-ე ტესტი გამართა და თავისთვის სარეკორდო ანგარიშით გაიმარჯვა. რაც შეეხება სერიის მესამე ტესტს, იგი დღეს დაიწყება კოლომბოში, ტურნეს სრულ შედეგებს კი შედეგთა დაფაზე, მეექვსე გვერდზე იხილავთ.

ვალერი ჯიქია



# უსისტემო სისტემით

წინა უქმეებზე აშშ-ში ამერიკული ბურთაობის 74-ე სეზონი გაიხსნა. ბურთაობის ეროვნული ლიგის (NFL) გუნდები ტრადიციულად ორ-ორ ქვეჯგუფიან ორ ასოციაციად — ეროვნულადა და ამერიკისად დაიყვნენ და ერთობ უსისტემო სისტემით დეკემბრის ბოლომდე გამოავლენენ ასოციაციათა ჩემპიონებს, რომლებიც გაისად იანვარში ერთ მატჩში გაითამაშებენ ზეთასს (Superbowl).

წელს ლიგაში მნიშვნელოვანი სიახლეებია. ერთი, რომ ხუთ გუნდს ახალი მწვრთნელი ჰყავს; მეორეც, გარდაივიდა მეგა-ჯამაგირების ეპოქა — ყველა ვარსკვლავს გაისიდან საგრძნობლად მოაკლდება შემოსავალი; და მესამე, სან-ფრანცისკოს 14 წლის შემდეგ აღარ ჰყავს ლეგენდარული მეოთხედმცველი ჯო მონტანა, რომელიც ბოლო წლებში ტრავმის გამო ვერ თამაშობდა. 37 წლის მონტანა ამიერიდან კანზასის გუნდში ითამაშებს.

პირველ ტურში კანზასმა ტამპა-ბეი 27:3 დაამარცხა. მონტანამ სამი სალელოე გადაცემა შეასრულა. ზეთასის მფლობელმა დალასმა სტუმრად წააგო ვაშინგტონთან 16:35.

## აქეთური, იქითური

ამბოხია ინდოეთის ჩოგბურთელთა ნაკრებში, რომელიც **24-26** სექტემბერს ჩანდიგარხში ავსტრალიას უნდა შეეჯიბროს დევისის თასის ნახევარფინალში. ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ (იტფ) ინდოელებს ჰონორარად **143** ათასი დოლარი მისცა, მათ კი ნაკრების მოწინავე მოთამაშეები — რამეშ კრიშნანი და რამეშ პეისი მშრალზე დატოვეს. გუნდის კაპიტანი ნარიშ კუმარი ხელისუფლებს ამბოხებულთა მოკრძალებული მოთხოვნების დაკმაყოფილებას სთხოვს, აქაო და **15** პროცენტი წილის გარეშე გულიანად ვერ ივარჯიშებენო.

*

გადადგომას აპირებს აშშ-ის ჩოგბურთელთა ნაკრების კაპიტანი ტომ გორმანი. მისი ხელმძღვანელობით გუნდს წელს ხელი მოეცარა დევისის თასზე და ახლა მსოფლიოს ჯგუფში დასარჩენად ბაჰამის კუნძულების ნაკრებს უნდა ეთამაშოს. არადა, გორმანის ზეობის დროს ამერიკელებმა თასი ორჯერ მოიგეს. როგორც ვარაუდობენ, გორმანს შარისთავობით ცნობილი ჯონ მაკინროუ შეცვლის.

*

იმის გამო, რომ მსოფლიოს მოწინავე მოთამაშეებმა სინგაპურის სქვოშის მოედნებზე თამაში სახიფათოდ მიიჩნიეს და იუარეს, სინგაპურის ღია პირველობის ორგანიზატორებმა საგრძნობლად შეამცირეს საჰონორარო ფონდი. ამის საპასუხოდ სქვოშის პროფესიონალთა ასოციაციამ შეჯიბრება ამოიღო იმ ტურნირთა ნუსხიდან, რომელთა შედეგების გათვალისწინებითაც ადგენს მსოფლიო კლასიფიკაციას.

*

**2000** წლის ოლიმპიადის მასპინძელი ქალაქი საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა მონტე-კარლოს სხდომაზე **23** სექტემბერს უნდა დაასახელოს. ჩინელებს, რომლებმაც პეკინის მუშათა სტადიონზე დიდი ზარ-ზეიმით გახსნეს სრულიად ჩინეთის სპორტული თამაშები, იმედი ჰქონიათ, რომ სოკ-ის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი საქმეს ისე მოაკვარახჭინებს, რომ აშშ-ის კონგრესის ჯინაზე ოლიმპიადის გამართვა მაინც მათ დედაქალაქს დაეკისრება, ამის შემდეგ სამარანჩს ნობელის მშვიდობის პრემიით დააჯილდოებენ, ის კი პოსტიდან გადადგება და სიბერეს მშვიდად გაატარებს მშობლიურ კატალონიაშიო.

*

სამხრეთ აფრიკაში რაგბი თეთრების, მეტადრე კი აფრიკანერების რელიგიად ითვლება, რის გამოც სხვა რასები ამ თამაშის მიმართ გულგრილად არიან განწყობილი. ასე არაა ცამეტკაციან, პროფესიულ, ლიგის რაგბში, რომელიც ქვეყანაში ახლახანს დაინერგა. ცამეტკაციანი რაგბის საერთაშორისო საბჭომ ჰკუა იხმარა და თავისს თამაშს უპირატესად ზანგთა დასახლებებში ავრცელებს. ამ საქმეს დიდძალი ფული ხმარდება, ლიგის აღმასრულებელი დირექტორი მორის ლინდსი კი საგანგებო მისიით ნელსონ მანდელასაც ეწვია და მისი თქმით, ხუთი საათის მანძილზე გულითადად ეჭუკჭუკა. ასეა: რაგბი, მეტადრე კი ლიგისა, მართლაც რომ ამოუწურავი თემაა!

*

სარწმუნო წყაროებიდან შაბათს შევიტყვეთ, რომ ქუთაისის „ერქვანის" რაგბის გუნდიც ლიგის რაგბში გადასულა

*

გერმანიის ქალაქ აქსელშვანგში მიმდინარე ცხენოსანთა ევროპის პირველობაზე თავი გამოიჩინა რუსმა სანდრო ჩიხლაძემ. სამჭიდის პირველი სახეობის — ცხენის გაწვრთნის შემდეგ „გლადით" მოჯირითე მხედარმა ათეულში შეაღწია. შეჯიბრებას ბრიტანელი ქალი ვირჯინია ლენგი ლიდერობს. მხედრებს საველე გამოცდა და დაბრკოლებათა გადალახვა ელით.

აქეთური, იქითური


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით და პარასკეობით
ინდექსი 66441

რედაქციის მისამართი:
თბილისი 77, ალ. ყაზბეგის 42, II კორპუსი,
IV სართული. ტელეფონი: 39 48 29

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსში; ხოშარაულის 29

დამფუძნებელი:
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა
„მარდი"

რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია

სარედაქციო კოლეგია: ბია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, ზაალ გიგინეიშვილი (რედაქტორის მოადგილე), ზურაბ მეძველია, მამუკა ჩიხლაძე (პასუხისმგებელი მდივანი)